საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 2-4 აპრილი. 2021 წ. №69-70 (9188-9189) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ო, როგორ გარცხვენენ ველური არამზადები, ჩემო კარგო ქვეყანავ!

დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა...

მერაბიშვილო, შენ არ იყავი, 2008 წლის ომიდან მეოთხე დღეს რო ჩამოათრიე პოზნერი საქართველოში?

„უკვე დასატული პლაკატებით, ფუნჯებით, სალებავებით და კვერცხებით ელოდნენ ნიშანს...“

თურმე სასამართლო არ გვაქვს და სანამ სასამართლო არ გვაქვს, არ შეიძლება პოლიტიკოსის დაჭერა!

ჩიხი უზარმაზარ პოლიტიკურ ნაპრალად იქცა! 4

ხალხი ითხოვს კომენდანტის საათის გაღანევას! 6

გიორგი გოგოლაშვილი:

„ო, ენავ ჩემო!..“ 7

ქართული ენის დღე

იდეა, მიზანი და... შედეგი

სახალხო ლოტბარი, სახალხო პარტისტი, სიკეთის მგალობელი...



ყველა ვაცნობიერებთ, როგორი დიდი დანაკლისი განიცადა დღეს ქართულმა კულტურამ

დიდია ჩემი მწუხარება! ბატონ ანზორ ერქომაიშვილის გარდაცვალებას ვუსამძიმრებ მის მეუღლეს, ლალის, მთელ ოჯახსა და ჩვენს საზოგადოებას. დიდი თუ პატარა, ყველა ვაცნობიერებთ, როგორი დიდი დანაკლისი განიცადა დღეს ქართულმა კულტურამ.

პირადად ჩემთვის, ახალგაზრდობიდან, პარიზის ემიგრაციის წლებიდან, ბატონი ანზორი ქართული სიმღერისა და გალობის, ანუ ქართული სულის განსახიერება იყო. წლები გავიდა და ვამაყობ იმით, რომ შემიძლია დღეს იგი ჩემს უფროს მეგობრად ვახსენო.

სალომე ზურაბიშვილი,
საქართველოს პრეზიდენტი.

ფასდაუდებელი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე

„**გუშინ,** საქართველომ დაკარგა გენიალური ფოლკლორისტი, ქართული ხალხური მუსიკის მოამაგე და საზოგადო მოღვაწე – ბატონი ანზორ ერქომაიშვილი. მისი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე მართლაც რომ ფასდაუდებელია. ანზორ ერქომაიშვილმა მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ხალხურ მრავალხმიან მუსიკას, ჩვენს ყველაზე ძვირფას საგანძურს და მთელ მსოფლიოს გააცნო ქართული მუსიკისა და გენის სიდიადე. ბატონი ანზორის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია, თუმცა, მჯერა, იმ საქმეს, რომელსაც მან მთელი სიცოცხლე მიუძღვნა, ღირსეულად გააგრძელებენ მისი აღზრდილი თაობები.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამ უდიდეს მწუხარებას ბატონი ანზორის გარდაცვალების გამო, ვუსამძიმრებ მის ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს და მთელ საქართველოს“.

ირაკლი ღარიბაშვილი,
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კიდევ ერთი ადამიანი დაგვაკლდა!

თბილისის მერი კახა კალაძე ანზორ ერქომაიშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„ვწუხვარ ცნობილი ქართველი მუსიკოსის, ანსამბლ „რუსთავის“ დამფუძნებლის ანზორ ერქომაიშვილის გარდაცვალების გამო. დიდია მისი წვლილი ქართული ფოლკლორის განვითარებაში. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული კიდევ ერთი ადამიანი დააკლდა საქართველოს. მთელი გულით ვიზიარებ ბატონი ანზორის ოჯახის, მისი მეგობრების, მთელი საქართველოს მწუხარებას!“.

კახა კალაძე,
ქალაქ თბილისის მერი

საქართველოს მთავრობის დადგენილებით ანზორ ერქომაიშვილს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალავენ.

№ 69-70. პარასკევი-კვირა, 2-4 აპრილი, 2021 წელი.

◎ სტუმართმოყვარეობა – პოლიტიკური ხერხი

დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა...

ო, როგორ გარცხვენენ ველური არამზადები, ჩემო კარგო ქვეყანავ!

ნეტავი აგერ ახლა, ამ ოთხშაბათ საღამოს, ბრმაც ვყოფილიყავი და ყრუც. არც დამენახა და არც მომესმინა, რაც თბილისის ერთ-ერთ რესტორანში ხდებოდა. მსოფლიოში ცნობილი ტელეჟურნალისტი ვლადიმერ პოზნერი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მიმართ მაინცდამაინც კეთილი განწყობით არ გამოირჩევა, 31 მარტს თავის ორმოცდაათ სტუმართან ერთად, თბილისში ჩამოვიდა თავისი დაბადების დღის ტრადიციულად საქართველოში აღსანიშნავად...

აქაოდა, ჯანყის მიზეზი მოგვეცაო, ოკუპანტი პუტინის პროპაგანდისტი ჩამოვიდაო, ეგრეთ წოდებული სამოქალაქო აქტივისტები, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, წამისუმალ წინასწარ გამზადებული პლაკატებით რესტორნის წინ გაჩნდნენ და მარტო ყურისა კი არა, გულისწამღები გნიასი ატეხეს და კვერცხების წარღვნა დაუშინეს სტუმრებს, რომელთაც სულ ტყუილად ეგონათ, რომ სტუმართმოყვარე მზიურ საქართველოში ჩამოვიდნენ.

სტუმართმოყვარე კი არა, ველური საქართველო დახვდათ, აშკარად ფსიქიკურად გონგადასული ადამიანები, უპატრონო საგიჟეთიდან გამოქცეულები, რომელთა ქაჯურ საქციელსაც არცრა საერთო არა ჰქონდა რა ქვეყნის სიყვარულთან... როგორც კი მოსყიდულ აქტივისტ მუმლაძეებს, კუპრავებს, ნარსიებს, მაქარაშვილებს, ბიძინაშვილებს, ფარცვანიებს თუ რუხაძეებს ნაციონალები შეუერთდნენ უდუმაშვილის თავკაცობით და იქვე ატორღიალდნენ ლელოელები, გირჩელები, ვაიევროპელები, ცხადი გახდა, ვისი მოწყობილიც იყო ეს „ქართული სტუმართმოყვარეობაც“.

და უცებ წამომაგონდა ვაჟას ჯოყოლა, რომლის სტუმარსაც მოსაკლავად მიეჭრნენ ქისტები ვინმე მუსას მეთავეობით.

„დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
ვერ ვუღალატებ, ღვთის მადლმა,
ღმერთს ვფიცავ, ქმნილი იმისა“-ო, – ეუბნება ჯოყოლა მუსას.

მაგრამ ჩანს, ჯოყოლა კი არა, საერთოდ წაკითხული არა აქვთ ვაჟა-ფშაველა ამ ველურ არამზადებს, სინდისნამუსზე აცრილებს, პოლიტიკური ბანგით გალეშილებს, რომელთაც კარგად იციან, რასაც სჩადიან, ჩადენით კი იმას სჩადიან, რომ სახელს უტეხენ ჩვენს ქვეყანას, ათადან-ბაბადან ცნობილ ქართულ სტუმართმოყვარეობის კარს საგულდაგულოდ გმანავენ, რათა როგორმე კიდევ უფრო მეტად დააზიანონ ქვეყნის ეკონომიკა, თავიანთი ბოროტი მოკლე ჭკუით, ყრუ კედელთან მიაყენონ „ქართული ოცნება“ და, ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებაზე უარი ათქმევინონ, რაც უკვე მაგათი აუხდენელი ოცნებაა.

საბოლოოდ კი მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ზარალდება მხოლოდ საქართველო, ხალხი. არა მგონია დღეს, 21-ე საუკუნეში, ასე იქცეოდნენ ამერიკის ან ამაზონის ჯუნგლებში შემორჩენილი ველურები, რომლებიც სტუმართმოყვარეობის ამბავში მხარს უბამდნენ თავიანთ ბელად სააკაშვილებს.

კი მტერს მტრულად უნდა დავხვდეთ, ოღონდ ბრძოლის ველზე და არა სტუმრად მოსულს, რომელსაც სტუმართმოყვარეობით ცნობილი მასპინძლის ენით უნდა ველაპარაკებოდეთ. წამითაც არ უნდა ვივიწყებდეთ ჩვენი დიდი წინაპრის შეგონებას, რომ გველი ხვრელით როგორ უნდა გამოგვყავდეს, მით უმეტეს, როცა ამ გველის სიტყვას ბევრად მეტი ავი გავლენის მოხდენა შეუძლია მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრზე, ვიდრე იმ საღამოს ქართველი ხალხის სახელით შეკრებილი ველური არამზადების ბოროტ გნიასს...

გურამ წიკლაური

რუსეთიდან ჩამოსულები კარანტინის წესის დარღვევის ფაქტზე დააჯარიმეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში მყოფი რუსეთის 32 მოქალაქე, მათ შორის ვლადიმერ პოზნერი იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევის ფაქტზე დააჯარიმეს. ამის შესახებ imedinews-ს შსს-ში განუცხადეს.

„საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევის ფაქტზე, ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად, 32 პირი დააჯარიმეს. ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული 41 პირიდან 9 პირს, იზოლაციისა და კარანტინის წესები არ დაურღვევიათ. გვიან ღამითვე დაჯარიმდა სასტუმრო „ვინოტელი“, – აღნიშნეს შსს-ში.


POZNER VLADIMIR DIMITRI 01/04/1
თბილისი. თბილისი მ.კოსტავას
ქუჩა სასტუმრო „რუმსი“
ავტოსატრანსპორტო საშუალება

ვლადიმერ პოზნერი საქართველოში 31 მარტს ჩამოვიდა. მის ვიზიტს საქართველოში სამოქალაქო აქტივისტების ნაწილისა და პოლიტიკოსების პროტესტი მოჰყვა. მოვლენები ე.წ. კომენდანტის საათის დროს განვითარდა, ამიტომ შრომის ინსპექციამ სასტუმრო „ვინოტელი“, სადაც ვლადიმერ პოზნერი და მისი სტუმრები ვახშმობდნენ, 10 000 ლარით დააჯარიმა. ამასთან, როგორც შსს-ს წარმომადგენელმა „ქრონიკას“ უთხრა, დაჯარიმდება ყველა, ვინც დაარღვია გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა. ამასთან, შსს-ში განაცხადეს, რომ ვლადიმერ პოზნერი ამერიკის მოქალაქეა და მას კანონი ოკუპაციის შესახებ დარღვეული არ აქვს. რუსმა ჟურნალისტმა საქართველო 1 აპრილს, დილით დატოვა.

შსს-მ პოზნერის დაჯარიმების ქვითარი გამოაქვეყნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი განცხადებას ავრცელებს, რომელსაც თან ახლავს ფოტო, სადაც ვლადიმერ პოზნერის დაჯარიმების ქვითარია ასახული.

„სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ ვრცელდება არასწორი ინფორმაცია, რომ, საქართველოში მიმდინარე წლის 31 მარტს სტუმრად მყოფი პირები, რომლებმაც დაარღვიეს იზოლაციის და კარანტინის წესები, არ დაჯარიმებულან.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ვასაჯაროვებთ ადმინისტრაციული ჯარიმის ქვითარს და აქვე, კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად დაჯარიმდა 32 პირი, ამასთან ყველა მათგანის ჯარიმა გადახდილია, რის შემდეგაც მათ დატოვეს ქვეყანა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

პოზნერი საქართველოში ხშირად ჩამოდის

„პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ვლადიმერ **პოზნერის, რომელიც არის ასევე აშშ-ის მოქალაქე, არ დაურღვევია ოკუპაციის შესახებ კანონი. ის ხშირად სტუმრობს საქართველოს აშშ-ის პასპორტით. ეს იყო მისი მორიგი, კერძო ხასიათის ვიზიტი“,** – თქვა პრემიერმა.

„ყოვლად დაუშვებელი იყო „ნაცმოძრაობის“ ლიდერებისა და მათი ჯგუფების პროტესტის ეს ფორმა, რაც აშკარად სცდება ცივილიზებულ ნორმებს და ქართულ სტანდარტებს, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ „ნაცმოძრაობა“ ჩამოყალიბდა აბსოლუტურად დეგრადირებულ და რადიკალურ ჯგუფად, რომელთანაც ცივილიზებული დიალოგი უბრალოდ შეუძლებელია“, – თქვა ღარიბაშვილმა.

ირაკლი კობახიძე: ეს ყველაფერი არის ფარსი!

„ვინ არის მაქარაშვილი? გულუას ყოფილი პრესმდივანი. ვინ არის დიღმელაშვილი? ის აპროტესტებდა ბუშის ქუჩის გახსნას. ვინ არის ელენე ხოშტარია? რუსეთის საერთაშორისო უსაფრთხოების დიპლომირებული სპეციალისტი. არსებობს პირდაპირი საფუძვლიანი ეჭვი, რომ ესენი არიან რუსების აგენტები. როგორ იგებს ელენე ხოშტარია ყველაზე ადრე ასეთი ვიზიტის შესახებ? სქრინები რომ ჰქონდათ მესიჯების, გამართული რუსულით დაწერილი? ეს არის აგენტურა, რომელიც მოქმედებს აგენტურული ინტერესების შესაბამისად.

„ეს ადამიანები ამბობენ, რომ აჟრიალებთ ყველაფერ რუსულზე, მაგრამ მათ არ გააჟრიალათ, როდესაც მათი კამპანია დაიხურა რუსული სიმღერით თავისუფლების მოედანზე. სინამდვილეში ეს ყველაფერი არის ფარსი. როდესაც მათი სიის პირველი ნომერი მღეროდა რუსულ ენაზე, რატომ არ დაუსტვინა არავინ, რატომ არ ავიდა სცენაზე და არ მოითხოვა სიმღერის გამორთვა? სინამდვილეში ისინი რუსულ საქმეს აკეთებენ.“

მერაბიშვილო, შენ არ იყავი, 2008 წლის ომიდან მეოთხე დღეს რო ჩამოათრიე პოზნერი საქართველოში?



საფრანგეთში მცხოვრები ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე სოციალურ ქსელში წერს:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა&United National Movement თქვე დედამ*ნულებო, ეგ ვლადიმერ პოზნერი თქვენ დროს რო საქართველოში ჩამოდიოდა ხოლმე, მაშინ არ იყო ოკუპანტი? vano merabishvili შენ არ იყავი, 2008 წლის ომიდან მეოთხე დღეს რო ჩამოათრიე პოზნერი საქართველოში? თუ დებილები გგონივართ და აღარ გვახსოვს?“ – წერს გიორგი ფოფხაძე.**

„ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲞᲚᲐᲙᲐᲢᲔᲑᲘᲗ, ᲤᲣᲜᲯᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲦᲔᲑᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲔᲑᲘᲗ ᲔᲚᲝᲓᲜᲔᲜ ᲜᲘᲨᲐᲜᲡ...“

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ და პიარ-ტექნოლოგი **ᲚᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲝᲨᲙᲘᲜᲐ** რუსი ჟურნალისტის ვლადიმერ პოზნერის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს სოციალურ ქსელში ეხმიანება.

„ამბავი კი იყო ასე: პირველი ჩარტერი დაინიშნა მოსკოვიდან, რომელმაც პოზნერთან ერთად რუსეთში მოღვაწე ქართველი გამოჩენილი მოღვაწეები ჩამოიყვანა. ეს უნდა გამხდარიყო ჯერ ჩარტერული რეისების ფორმატით, მერე კი რეგულარული რეისებით რუსეთიდან ტურისტული ნაკადის ჩამოყვანის აღდგენის პროცესი საქართველოში.

ცხადია, რუსეთის აგრესიულ ფრთას არ აწყობდა ამბის ამგვარი განვითარება და „მაშველი რაზმი“ უკვე დახატული პლაკატებით, ფუნჯებით, საღებავებით და კვერცხებით ელოდა ნიშანს, ზუსტად ისე, როგორც „გავრილოვიადის“ დროს. სულ ეს იყო. ჩაფლავებული ტურისტული სეზონი 2021“, — წერს ლალი მოროშკინა.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲘᲐ, ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ ᲞᲝᲖᲜᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲜᲛᲮᲚᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲨᲕᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ადმინისტრაცია უარყოფს ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს ვლადიმერ პოზნერსა და მის თანმხლებ პირებს გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვისთვის საჭირო საშვები ჰქონდათ.

„შეგახსენებთ, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევის ფაქტზე, ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად, 32 პირი დააჯარიმეს. ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული 41 პირიდან 9 პირს, იზოლაციისა და კარანტინის წესები არ დაურღვევია. შესაბამისად, სრული დეზინფორმაცია და აბსურდია იმის მტკიცება, თითქოს ვლადიმერ პოზნერი და მისი თანმხლები პირები გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვისთვის საჭირო საშვებით სარგებლობდნენ“, — აცხადებენ მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურში.

ᲞᲝᲖᲜᲔᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲘ ᲑᲝᲓᲘᲨᲡ ᲘᲖᲓᲘᲡ



რუსი ჟურნალისტისა და კრემლის პროპაგანდისტის ვლადიმერ პოზნერის მასპინძელი საქართველოში მირანდა მირიანაშვილი სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს და პატიებას ითხოვს: **„მიყვარს თავდავიწყებით ჩემი ქვეყანა. მიყვარს ჩემი ხალხი. ისინიც, ვინც მლანძღავს, .არ მიცნობს, მაგრამ გაიფთრებით მთათხავს და ცდილობს ლაფი დაგვასხას მე, ჩემ ოჯახს, სტუმრებს, გეფიცებით, ესაა, რასაც ამ წუთს განვიცდი!.. ვიცი, დღეის დრამის ყველა მონაწილეს სამშობლოს სიყვარული ამოძრავებს.**

თითოეულს სიკეთეს ვუსურვებ, ჯანმრთელობას და სიყვარულს, ამითაა სავსე ახლა ამ მწარე წუთებში ჩემი გული, სიყვარულით, რომელიც აუცილებლად გადაგვარჩენს ყველას. გაუმარჯოს ჩვენ საქართველოს, თქვენ გაგიმარჯოთ ყველას, მაპატიეთ თუ რამე გაწყენინეთ, არაფერი ჩამიდენია უმსგავსო“, — წერს მირანდა მირიანაშვილი.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲐᲕᲗ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲐᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲖᲔ

ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲘᲗ, რომ მათ არ ეყოთ არც გამბედაობა და არც გონიერება, უარი ეთქვათ აბსოლუტურად დაუსაბუთებელ პრეტენზიებზე და ხელი მოეწერათ დოკუმენტზე. დღეს, როცა ვითარება ყველასთვის ცხადია, უფლებას ვიტოვებთ, აღარ დავკარგოთ დრო ამ ახირების განხილვაზე და მთლიანად ვორიენტირდეთ პრობლემებზე, რომელიც ჩვენს ხალხს და ქვეყანას აწუხებს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„კრისტიან დანიელსონის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ვადამდელ არჩევნებზე მინიშნებაც არ ყოფილა. ეს ბუნებრივია, რადგან ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობა, მთელი დასავლური საზოგადოება, მთელი მსოფლიო აღიარებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს და მის შედეგებს, შესაბამისად, შედეგების ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით არავითარი კითხვის ნიშნები არ არსებობს. თუმცა, ცივილიზებული სამყაროს საზოგადოებისგან განსხვავებით, რადიკალური ოპოზიცია არ ცდილობს, გამოვიდეს ამ ჩიხიდან, სადაც ნებაყოფლობით, თუმცა სრულიად გაუგებარი გათვლებით შევიდა. დავრწმუნდით, რომ მათ არ ეყოთ არც გამბედაობა და არც გონიერება, უარი ეთქვათ აბსოლუტურად დაუსაბუთებელ პრეტენზიებზე და ხელი მოეწერათ დოკუმენტზე. დღეს, როცა ვითარება ყველასთვის ცხადია, უფლებას ვიტოვებთ, აღარ დავკარგოთ დრო ამ ახირების განხილვაზე და მთლიანად გადავერთოთ პრობლემებზე, რომელიც ჩვენს ხალხს და ქვეყანას აწუხებს. ჩვენ მასშტაბურ პროექტებს წარმოვადგენთ უახლოეს რამდენიმე კვირაში, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ჩვენ არ გვექნება დასაკარგი დრო არაპროდუქტიულ მოლაპარაკებებზე დასახარჯად“.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, ყველა იმ საკითხზე, რომელიც წარმოდგენილი იყო მედიატორის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, მმართველ გუნდს ჰქონდა შემხვედრი პოზიცია ქვეყნის უკეთესი მომავლისკენ ნაბიჯების გადასადგმელად.

„ჩვენმა გუნდმა მაქსიმუმი გააკეთა შეთანხმების მისაღწევად, თუმცა რადიკალურ ოპოზიციას შეთანხმება არ სურდა. სთხოვდა მედიატორს დოკუმენტში დამატებითი პუნქტების შეტანას და მოლაპარაკების ჩაშლაზე იყო ორიენტირებული. ამას ადასტურებენ ოპოზიციის შედარებით ზომიერი წარმომადგენლებიც. ვფიქრობ, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ეს ხელოვნურად შექმნილი კრიზისი სინამდვილეში თავად რადიკალური ოპოზიციის მწვავე კრიზისია“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფინანსთა სამინისტროს ლაშა ხუციშვილი უხელმძღვანელებს. ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ნაცვლიშვილი უკვე დიდი ხანია, ფინანსთა სამინისტროს გუნდის წევრია და სისტემას ძალიან კარგად იცნობს. 2014 წლიდან ნაცვლიშვილი მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.

„მე მინდა, ბატონ ლაშას ვუსურვო წარმატებები უკვე ფინანსთა მინისტრის რანგში და მჯერა, რომ ის წარმატებით გააგრძელებს თავის საქმიანობას“, — განაცხადა პრემიერმა.

* * *

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ იუსტიციის ახალი მინისტრი წარადგინა. **იუსტიციის სამინისტროში გოჩა ლორთქიფანიძეს, რომელიც ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლედ აირჩიეს, რატი ბრეგაძე შეცვლის,** — ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

„გოჩა ლორთქიფანიძე მიემგზავრება ჰაადაში, გუშინ იყო მისი ბოლო სამუშაო დღე. მინდა, გულწრფელი მადლობა გადავუხადო და ვუსურვო წარმატებები. იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე რატი ბრეგაძე დაინიშნა. რატი არის მაღალი კვალიფიკაციის იურისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ის სწავლობდა ჰამბურგის უნივერსიტეტში, სადაც მოიპოვა სამართლის მაგისტრის და სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 2012 წლიდან რატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არის კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

2012 წლის ნოებრიდან დღემდე სხვადასხვა პერიოდში მას ეკავა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილის, განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორის მოადგილის, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის და ბოლოს, თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა. რატი ასევე იყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი და მინდა, მას წარმატება ვუსურვო“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲔᲑᲖᲔ ᲕᲘᲖᲘᲢᲔᲑᲘ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ თავდაცვის და უშიშროების კომიტეტისა და ნდობის ჯგუფის წარმომადგენლები საქართველოს მასშტაბით თავდაცვის ძალების ბაზებზე ვიზიტებს განაგრძობენ. დეპუტატები ამჯერად წეროვანში მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა რეაბილიტაციის ცენტრს ეწვივნენ. ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებთან ერთად ცენტრში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძეც იმყოფებოდა. საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს მასპინძლობა სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსმა ვალერი (ბუბა) ლომუაშვილმა გაუწია. დეპუტატებმა აშშ-ის მხარდაჭერით აშენებული და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ცენტრის ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს, დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის ადაპტირებული სივრცეები მოინახულეს და რეაბილიტაციის პროცესის შესახებ ინფორმაცია ფსიქოლოგებისა და პირადად სამხედროებისგან მიიღეს. სტუმრებს სპორტული, სავარჯიშო, კალათბურთისა და აკვათერაპიის დარბაზების მონახულების საშუალებაც ჰქონდათ.

„მარო მაყაშვილის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობით აშენდა. ცენტრი სრულად პასუხობს დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების მოთხოვნებს. ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, 2020 წლის იანვრიდან დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს, ტრავმების და ზოგადი ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ხელფასებზე 200-დან 800 ლარამდე დანამატები დაუწესდათ, ასევე, 27 იანვარს დაწესდა დაჭრილ-დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა დღე. ამჟამად წეროვანში რეაბილიტაციის კურსს 14 სამხედრო მოსამსახურე გადის“.



ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲐᲗᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲗ...

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ და ლიეტუვა ძალისხმევას მიმართავენ, **რათა 2025 და 2027 წლებში ევროკავშირის საბჭოში მათი თავმჯდომარეობის დროს საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ მიიღონ ევროკავშირის წევრობის კანდიდატების სტატუსი,** — ამის შესახებ საუბარია ერთობლივ განცხადებაში, რომელიც 2021 წლის 26 მარტს პოლონეთის სეიმისა და სენატის და ლიეტუვის სეიმის საპარლამენტო ასამბლეის დისტანციური კრების შემდეგ გაკეთდა.

განცხადების მიხედვით, პოლონეთი და ლიეტუვა ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების წარმატებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული და ევროპული რუსეთის მშენებლობაში, ნაცვლად, აგრესიული, მტრული, საერთაშორისო ვალდებულებების დამრღვევი და მუდმივად გეოპოლიტიკური დაძაბულობის გამომწვევი რუსეთის ფედერაციისა.

ᲗᲣᲠᲛᲔ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲐᲠ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐ!

ᲩᲘᲮᲘ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲜᲐᲞᲠᲐᲚᲓ ᲘᲥᲪᲐ!

ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ **იმისა, რომ ყოველ დღესა და საათს საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საშინაო თუ საგარეო საკითხების გადაწყვეტას ვანდომებდეთ, აგერ უკვე ლამის ნახევარი წელია, მთელი საზოგადოება გამოგონილი „პრობლემის“ გადაწყვეტის არაფრის მომცემ, თანაც ქვეყნისთვის საზიანო პოლიტიკურ პროცესშია ჩართული.**

მხედველობაში მაქვს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის ნიკანორ მელიას დაკავების კანონიერება-არაკანონიერებასთან დაკავშირებით ეგრეთ წოდებული „გაერთიანებული ოპოზიციის“ მიერ წამოყენებული ულტიმატუმები და მათ მიმართ არა მარტო პირადად ჩემი და ჩემი საახლობლოს, არამედ ერთიანად საზოგადოების უდიდესი ნაწილის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება, რაც, ვფიქრობ, სავსებით ბუნებრივია და არც არის გასაკვირი.

ვიდრე უშუალოდ სათქმელზე გადავიდოდე და აღნიშნული საკითხის მიმართ პირად დამოკიდებულებას გამოვხატავდე, მინდა საკუთარი მოსაზრება გამოვთქვა ზოგიერთ საკითხზე, რისთვისაც რამდენიმე პოლიტიკური ტერმინის გავრცელებულ განმარტებას მოვიშველიებ:

1. არასისტემური ოპოზიცია — პარლამენტში არსებული ოპოზიციური პარტიები ითვლებიან სისტემურ ოპოზიციად, ოპოზიცია, რომლის საქმიანობა მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირებადი ინსტიტუტების დისკრედიტაციისკენ, მათი ლეგიტიმურობის საფუძვლების შერყევისა და არსებული პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის მოშლისკენ, რაც ჩვენს თვალწინ ხდება;

2. ტერორიზმი — ტერორიზმად განიხილება საქმიანობა, რომლის მიზანია, სერიოზულად დააზინოს მოსახლეობა, აიძულოს მთავრობა ან საერთაშორისო ორგანიზაცია, განახორციელოს ან არ განახორციელოს გარკვეული ქმედებები, პოლიტიკური, კონსტიტუციური, ეკონომიკური და სოციალური სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ბოლომდე რღვევა ან დესტაბილიზაცია (ხომ არ ჰგავს „ნაციონალური მოძრაობის“ საქმიანობას?);

3. არჩევნების ლეგიტიმურობა — უმრავლესობის მყარი რწმენა, რომ არჩევნების შედეგები კანონიერია;

4. პოლიტიკური პატიმარი — ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კრიტერიუმების მიხედვით, პოლიტპატიმრად განისაზღვრება პირი, რომელიც დაკავებული იქნა მხოლოდ პოლიტიკური აქტივობის გამო, ან ვისაც მიუყენეს **შეთითხნილი** ბრალდება.

5. დემოკრატია — რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებისა და სახელმწიფო საქმეების მართვაში მოსახლეობის ფართო მონაწილეობას;

ᲐᲮᲚᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲓᲦᲔᲡ ᲠᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲕᲐᲠᲗ:

1. ყველა, შინ და გარეთ, ვისაც კი ჭკუა მოეკითხება, არ არის მიკერძოებული რომელიმე პარტიის მიმართ და შესაბამისი კომპეტენცია აქვს, მიიჩნევს, რომ 2020 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები არ არის საეჭვო. რაც უმთავრესია, არც მოსახლეობის ყურადსაღებ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირემასშტაბიან მიტინგებზე გამოსულ პროფესიონალ მომიტინგეებსა და მათ მიერ დაქირავებულ „აღშფოთებულ“ მოქალაქეებს) ნაწილს გამოუხატავს რაიმე ფორმით არა თუ უთანხმობა, არამედ რაიმე ეჭვი ამ შედეგების მიმართ, რაც ერთმნიშვნელოვნად სძენს ჩატარებულ არჩევნებს ლეგიტიმურობას. სხვა აზრი აქვს ბატონ ა. ელისაშვილს. მას მიაჩნია, რომ მოსახლეობის პროტესტი პროპორციული არჩევნების შედეგების მიმართ გამოიხატა მაჟორიტართა არჩევნების მეორე ტურში, რაც პირველ ტურთან შედარებით ამომრჩეველთა მნიშვნელოვნად ნაკლები აქტივობით გამოიხატა. კარგი იქნებოდა, ბატონი ა. ელისაშვილი მეტ დაკვირვებას იჩენდეს და ლუარსაბ თათქარიძესავით არ ანგარიშობდეს. მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს რომ ეჭვი შეეტანა „ქართული ოცნების“ პროპორციულ არჩევნებში დამაჯერებელ გამარჯვებაში და ეს გაყალბებად მიეჩნია, მეორე ტურში ხომ უფრო მეტი ამომრჩეველი მივიდოდა პროტესტის ნიშნად და გაამარჯვებინებდა, ოპოზიციური პარტიების მაჟორიტარული დეპუტატობის მიუხედავად ოპოზიციის არჩევნების მეორე ტურის ბოიკოტისა.

2. ოპოზიციამ მოიპოვა 59 სადეპუტატო მანდატი, პარლამენტში საქმიანობას შეუდგა ექვსი დეპუტატი, ისიც თავიანთ პარტიებში დიდი დავიდარაბის შემდეგ. სხვა 18 მანდატმოპოვებული დეპუტატი კი, „ნაცმოძრაობის“ 35 დეპუტატთან ერთად „არალეგიტიმურ“ პარლამენტში შესვლას ერთიანად უზნეობად მიიჩნევს („ნაცმოძრაობასთან“ გადაჯაჭვა, როგორც ჩანს, დიდად ზნეობრივია, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც არ სჯერათ, რომ არჩევნები გაყალბდა. 53 დეპუტატი ბოიკოტს უცხადებს პარლამენტს (სინამდვილეში ისინი „ებუტებიან“ მხოლოდ საკუთარ ამომრჩევლებს, რითაც მათ ართმევენ ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლებას), ამასთან კატეგორიულად ითხოვს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს და „პოლიტიკური პატიმრის“, ნ. მელიას დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, იმ ერთადერთი იმედით, რომ „ქართული ოცნების“ უმიზეზოდ დაჩოქების შემთხვევაში ამომრჩევლების ნდობის დაკარგვის გამო რიგგარეშე არჩევნებში ან გაიმარჯვებენ, ანდა კოალიციური მთავრობის შექმნისთვის საჭირო მანდატებს მაინც მოიპოვებენ (ამის შემდგომ კი, მათი აზრით, ერთი ნაბიჯიღა რჩება ქვეყანაში მდგომარეობის ისეთი სახის დესტაბილიზაციამდე, რომ მათი ხელისუფლების სათავეში მოსვლის შანსი გაასმაგდეს).

მათ კარგად იციან, რომ არჩევნებისას ხმების დათვლის შედეგებში მნიშვნელოვან ცდომილებას ვერ აღმოაჩენენ, რაც არაერთხელ აღინიშნა, ამას კიდევ ერთხელ მხოლოდ იმიტომ გავიმეორებ, რომ ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიაში შესვლაზე უარის თქმის მიზეზად იმ მიზეზის მოყვანა, აქაოდა 2020 წლის ოქტომბრიდან დიდი დროა გასული, ამიტომაც საარჩევნო ბიულეტენები და ოქმები გადაკეთებულ-გადმოკეთებული იქნებაო, ძალიან უსუსური არგუმენტია, რომლის სინაღდისა ხალხის უმეტეს ნაწილს არა სწამს.

ასეთივე შეთავაზება კი მათ ხომ არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგაც მიიღეს! თანაც, რაც მთავარია, ისინი უარს აცხადებენ არჩევნების გადამოწმებული შედეგების საჯაროდ განხილვაზე, როგორც იტყვიან, „ყურით მოთრეული მიზეზით“, თითქოსდა მმართველი პარტიის ზეგავლენით სასამართლოები მათ საჩივრებს უგულებელყოფენ. არადა, თუ ეს მართლაც ასე მოხდებოდა, მაშინ „ქართული ოცნების“ არასამართლიანობა ხომ გამოაშკარავდებოდა?!

იმედი მაქვს, ბატონი ა. ელისაშვილი, მიუხედავად იმისა მიიღებს თუ არა მონაწილეობას საგამოძიებო კომისიის საქმიანობაში, წარადგენს იმ საკუთარ საჩივრებს, რომელთა განხილვის შედეგები მას არ აკმაყოფილებს. სალაპარაკოდ შემორჩათ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და ამომრჩეველთა მოსყიდვა, რამაც, მათი აზრით, განაპირობა დამდგარი არაობიექტური (გაყალბებული) შედეგები.

სამწუხაროდ, ამ აზრს იზიარებს არასამთავრობო ორგანიზაციების ის მნიშვნელოვანი ნაწილიც, რომელიც აკვირდება და აფასებს არჩევნებს. თუმცა, ეს არცაა გასაკვირი, რადგან ისინი, კარგა ხანია, ღიად ადასტურებენ, რომ არიან „ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენელი სტრუქტურები (კიდევ რა სფეროებშია ფესვგადგმული „ნაცმოძრაობა“, ეს სხვა და არანაკლებ მნიშვნელოვანი თემაა). ჩემი ამ ეჭვის ლეგიტიმურობაში დასარწმუნებლად ბატონებო, 2017 წლის 28 ივლისის აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ბატონ პენსის სახელზე 24 არასამთავრობო ორგანიზაციის (მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და ა.შ.) წერილს, რომელშიც, სხვასთან ერთად, წაიკითხავთ, რომ მედიაგარემოს გაუარესება და პლურალიზმის შემცირება ტენდენციაა და იმასაც, რომ სასამართლოებისადმი საქართველოს მოსახლეობის ნდობა 2012 წლის შემდეგ შემცირდა და არ გაუმჯობესებულა.

განა რა შეიძლება თქვა ასეთ არასამთავრობო ორგანიზაციებზე?

რაც შეეხება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, იმას, რომ ეს ფაქტორი არჩევნებში ჩვენში გადამწყვეტ როლს არ თამაშობს, ადასტურებს როგორც 1990 წლის კომუნისტური პარტიის, ისე 2012 წლის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებაც (**სამწუხაროდ, მოსახლეობის საკმაო ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს გაცნობიერებული თუ რა უბედურებას გადაგვარჩინა ბატონმა ბ. ივანიშვილმა!**) „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ ადმინისტრაციული რესურსი გააჩნდა 2012 წელს, კომუნისტურ პარტიასაც კი შეშურდებოდა, მაგრამ, რომ იტყვიან, გამოადგა კი? იგივეა ამომრჩევლების მოსყიდვასთან დაკავშირებითაც: დაიჯერებს განა ვინმე იმას, რომ ათიათასობით ამომრჩევლის მოსყიდვა ისეთ კვალს არ დატოვებდა, რომ არ გამომდგარიყო ამ დანაშაულის უტყუარ მტკიცებულებად? ბოლოს, ალბათ იმასაც იტყვიან, რომ არჩევნებისას სააგიტაციოდ ზედმეტად ბევრი ლამაზი პირისახის მქონე და ჭკვიანი ხალხი გამოიყენესო.

ახლახან, ვადამდელი არჩევნების ახალი მიზეზი მოიფიქრეს — თითქოს, არჩევნების შემდგომ ბატონი ივანიშვილის საჯარო პოლიტიკიდან გასვლა და ბატონ გ. გახარიას პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომა, რომლებიც „ქართული ოცნების“ ცენტრალური ფიგურები იყვნენ და რომლებსაც მხარი დაუჭირა „ქართული ოცნების“ ამომრჩეველმა, ახალი, ვადამდელი არჩევნების დანიშვნის ლოგიკური აუცილებლობაა. საარჩევნო სიის რომელიმე წევრის მიერ თანამდებობის დატოვება ან პოლიტიკური პარტიის ლიდერის პოლიტიკიდან წასვლა, თუ მთავრობის გადადგომის შემთხვევაში ვერ ყალიბდება მთავრობის ახალი შემადგენლობა, არსად არ იწვევს ახალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობას და არც ამის სამართლებრივი საფუძვლები არსებობს სადმე. მაშ, ჩვენთან რატომღა უნდა იწვევდეს? „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის რაღაც ნაწილი რომ ითხოვდეს ამის გამო ვადამდელ არჩევნებს, გასაგები იქნებოდა, მაგრამ, როცა ოპოზიცია ითხოვს ამ მოტივით ახალ არჩევნებს, განა ეს ლოგიკურია?

ხშირად ისმის კითხვა: რატომ ვერ აღწევს თავს „ნაციონალური მოძრაობის“ ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებულ (სინამდვილეში ქვეყნის დესტაბილიზაციისკენ მიმართულ) დღის წესრიგს 18 მანდატმოპოვებული პოლიტიკოსი? ჩემი აზრით, მათ ძირითად ნაწილს (ამ შემთხვევაში, ყურადღებას ნუ მივაქცევთ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელში მათზე კომპრომატების შესაძლო არსებობას) არ აინტერესებს ოპოზიციის სტატუსით საპარლამენტო საქმიანობა, ამ პროცესში პოზიტიურად თავის წარმოჩენა და მომავალი არჩევნებისთვის სათანადო პოლიტიკური კაპიტალის შექმნა, რადგან ამას ესაჭიროება ქვეყნისა და ხალხისთვის სასიკეთო წინადადებების შემუშავება და მმართველი პარტიის ინიციატივების დასაბუთებული კრიტიკა, რაც გააძლიერებს ქვეყანას და დაიცავს „ქართულ ოცნებას“ შესაძლო შეცდომებისგან.

არის კი ეს მათ ინტერესში?

არა მგონია!

მათი, ასე გამოდის, მთავარი მიზანია — დაიკავონ რაიმე წონადი, როგორც იტყვიან, „თბილი თანამდებობა“ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, რითაც, დაუფასდებათ ერთგულება. ზოგისთვის კი ასეთი ვითარება აუცილებელია შემდგომში მართლმსაჯულებისგან თავდასაღწევად და ეს არ არის უმნიშვნელო მოტივი. ნაცმოძრაობის ღიად გაცხადებული გეგმა ხომ ისაა, რომ რაც შეიძლება მეტად დაზიანდეს სახელმწიფო და, შესაბამისად, ხალხიც. ამიტომაცაა, არ უნდა ველოდეთ, რომ ამ პარტიებს ვიხილავთ პარლამენტში!

ჩვენს თვალწინ ყალიბდება სადეპუტატო მანდატების მომპოვებელთა პარლამენტში შესვლისთვის პოლიტიკური ფასის დაწესებისა და ვაჭრობის, ქვეყნისთვის ძალზე საზიანო ახალი პრაქტიკა, რასაც, უნებლიეთ, ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის მეგობარი ქვეყნების დიპლომატებიც. საინტერესოა, ალბათ, თუ რატომ არის ასე პრინციპული და მნიშვნელოვანი სადეპუტატო მანდატმოპოვებულთა პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხი ჩვენი მეგობარი ქვეყნებისთვისაც და რატომ გადაიქცა ეს არჩევ-

ნებში გამარჯვებული პარტიის პასუხისმგებლობის საკითხად? თუ როგორი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მმართველი პარტია მოლაპარაკების პროცესს და როგორით – ოპოზიცია, ძალიან ნათლად ჩანს ჩემთვის საპატივცემულო პიროვნების, ბატონ ამირან სალუქვაძის სტატიაში „რატომ ატყუებს ოპოზიცია საქართველოს მოსახლეობას“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 24-25 მარტი, 2021 წ.).

გასაგებია, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში პარლამენტის სრულფასოვანი საქმიანობისთვის საჭიროა საპარლამენტო პოზიციის არსებობა, მაგრამ, როცა არც არჩევნები გაყალბებულა და მთავრობაც ჩამოყალიბებულია, რატომ უნდა იყოს ასე „დამღუპველი“ მანდატმოპოვებული ოპოზიციის პარლამენტში არშესვლა? მიზეზი, ვფიქრობ, რამაც მოლაპარაკებებში ევროსაბჭოს პრეზიდენტის შუამავლობის აუცილებლობაც კი განაპირობა, სავსებით ცხადია. თანაც აშკრაა, რომ ჩვენ მეგობარ ქვეყნებს არ სურთ, რომ ქვეყნის იმიჯი შეილახოს და ზოგადად ზიანდება დემოკრატია საკუთარი ამომრჩეველთა ინტერესების უგულებელმყოფელი პარტიების პარლამენტში არშესვლით. ისიცაა, რომ მმართველი პარტიაც და ჩვენი ქვეყნის კეთილმოსურნე ქვეყნების ელჩები და პოლიტიკური მოღვაწეებიც ხედავენ „ნაცმოძრაობის“ არასისტემურ ოპოზიციად ჩამოყალიბების შესაძლო საფრთხეებს, მაგალითად, ფართომასშტაბიან სამოქალაქო დაპირისპირების ალბათობას, ან ხელისუფლებაში მოსვლის უპერსპექტივობის პირობებში, ნაცმოძრაობის წიაღში ტერორისტული ორგანიზაციების გაჩენის საფრთხესაც. რას უნდა ველოდეთ კარგს პარტიისგან, რომელიც ჩადენილ ენით აუწერელ სისტემურ დანაშაულებს მხოლოდ შეცდომად მიიჩნევს და გვპირდება, რომ გამოცდილება შეიძინა და ასეთ რაღაცებს აღარ გაიმეორებს?! მუტრუკი მიტომ მუტრუკობს, დედა ჰყოლია ვირიო, კაცი ბეჩავის მჩაგვრელი, სად გაგონილა გმირიო (ვაჟა). ასეთ დაპირებას მე იმის წინაპირობად აღვიქვამ, რომ მომავალში, თუ ისინი აღმოჩნდებიან ხელისუფლებაში (ღმერთმა დაგვიფაროს), ზედმიწევნით დახვეწენ ხალხის წამებისა და ძარცვის ფორმებს. ის, რომ მმართველი პარტიისა და ფასილიტატორებისა და მედიატორების მოწადინების მიზეზი „ნაციონალური მოძრაობის“ პარლამენტში საქმიანობის მონატრება არ არის, იმედია, დამეთანხმებით. გავიხსენოთ, რით დაამახსოვრა თავი საზოგადოებას ამ პარტიამ და მისმა განაყოფებმა პარლამენტში საქმიანობის ბოლო რვაწლიან პერიოდში, გარდა უსაგნო აყალმაყალებისა, ხულიგნობისა და პარლამენტის, პირდაპირი მნიშვნელობით, აქოთებისა?! სხათა შორის, განა დაისაჯა ამ სამარცხვინო და სიცოცხლისთვის საშიში აქტის ჩამდენი? ვის ჰქონდა იმის გარანტია, რომ ჩვენ აშკარა მტერს ფარულად არ შეერია აუტანელი სუნის მქონე სითხეში ძლიერი მომწამლავი აქროლებადი ნივთიერება და მისი გამომყენებელიც და პარლამენტის სხვა მრავალი წევრიც არ გამოესალმებინა სიცოცხლეს?

ახლა ორიოდე სიტყვა „პოლიტპატიმრების“ შესახებ: ნაცმოძრაობის ორთოდოქსი მომხრეების გარდა, ალბათ, არავის სჯერა, რომ ნ. მელია, გ. წულაია ან ვინმე სხვა, პოლიტიკური პატიმარია. მჯერა, მრავალი თანამოქალაქე დამეთანხმება იმაში, რომ პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე კაცს სხვაზე მეტად მოეთხოვება დაიცვას და პატივი სცეს არსებულ კანონებს, მიუხედავად იმისა, მოსწონს ისინი თუ არა. მაგრამ რას ვხედავთ: თუ ვინმემ რაიმე კრიტიკული აზრი გამოთქვა რომელიმე სატელევიზიო ეთერით, თავი პოლიტიკოსად მიაჩნია და თუ რამე დააშავა, უკვე წარბაწეული ელაპარაკება სამართალდამცველებს, რომლებიც ასრულებენ რა ზემდგომთა მითითებას, ზედმეტად ფაქიზად ექცევიან მათ, რითაც უფრო აქეზებენ.

აბა, სხვა რით შეიძლება აიხსნას გრიგოლ ვაშაძის მიერ პოლიციელის საჯაროდ თავში ჩარტყმის გამო პასუხისმგებლობის დაუდგომლობა?! იმედია, პრეზიდენტიც, პრემიერ-მინისტრიც, პროკურატურაც, მოსამართლეებიცა და მმართველი პარტიის ხელმძღვანელობაც, ახლა მაინც ხვდებიან თუ რაოდენ საზიანოა ქვეყნისთვის პოლიტიკური მოტივებით დამნაშავეთა შეწყალება ან დანაშაულში ეჭვმიტანილი პოლიტიკოსების მიმართ საგამოძიებო და სასამართლო პროცესების გაუგებარი გაჭიანურება. ჩემი პრეტენზია აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიმართ, არის არა ის, თუ რატომ დააკავეს ნ. მელია მოლაპარაკებების პროცესში, არამედ რატომ არჩევნებამდე არ მოხერხდა მისი გასამართლება?! საარჩევნო გარემოს უცხოეთის თვალში გაუმჯობესების მიზნით „ყოფილი“ შეწყალების შემდეგ უნდა ველოდოთ, რომ ყოველი არჩევნების წინ, დიდი თუ პატარა გასამართლებული პოლიტიკოსი იგივეს მოითხოვს და თუ არ შეიწყალებენ, ისევ ცენტრალური სატრანსპორტო მაგისტრალების გაუთავებელი გადაკეტვები და პარლამენტის წინ კარვები უნდა ვითმინოთ. ხომ ვიხილეთ, სულ ახლახან, მ. სააკაშვილის მიმართ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მოთხოვნაც?!

ვფიქრობ, თუ გვინდა პოლიტიკოსს მართლმსაჯულებასთან დამოკიდებულებისას გაჩნდეს რაიმე პრივილეგია, ეს შეიძლება მხოლოდ იყოს მის მიმართ აღძრული საქმეების სწრაფი გამოძიება და სასამართლოების მიერ უმოკლეს ვადებში განხილვა, ხოლო რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ დამნაშავე პოლიტიკოსთა შეწყალებას, თუ არ გვინდა პოლიტიკოსობა გარკვეულ ინდულგენციად ჩამოყალიბდეს და პოლიტიკოსის მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულზე სასჯელის მაქსიმალურ ვადად, პრაქტიკულად, განისაზღვროს საარჩევნო ციკლების ხანგრძლივობა, ასეთი პრაქტიკა უნდა დასრულდეს. თუ ეს აზრი გასაზიარებელია, კარგი იქნება თუ საზოგადოება გამოძებნის საშუალებას აგრძნობინოს ეს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს.

იმედი მინდა ვიქონიო იმისა, რომ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები ობიექტურად შეაფასებენ არშემდგარი შეთანხმების მიზეზებს, შეწყვეტენ ან შეამცირებენ პრეტენზიებს ხელისუფლების მიმართ ოპოზიციის ძირითადი ნაწილის პარლამენტში არშესვლის გამო, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სტაბილურობის შემდგომ გამყარებას.

პარტიების დაფინანსების შესახებ კი უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის გასაგებია, როგორც მმართველი პარტიის მცდელობა დაუკავშიროს პოლიტიკური პარტიის სიებით მანდატმოპოვებულთა პარლამენტში შეუსვლელობის გამო ასეთი პარტიების სახელმწიფოს მიერ დაფინანსებაზე უარის თქმას (ვენეციის კომისიის რეკომენდაციაც ამისგან



თავის შეკავებისკენ მოგვიწოდებს), მაგრამ, თუ ამ საკითხს უფრო ფართოდ შევხედავთ, დავინახავთ, რომ განვითარებული ქვეყნების მიერ თავის დროზე შემოღებულ პოლიტიკურ პარტიათა სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებამ, რომლის მიზანი იყო პოლიტიკური პარტიების სათამაშო ველის მეტ-ნაკლები გათანაბრება და არალეგალური თანხებითა და დიდი ფინანსების მქონე ჯგუფების მიერ არჩევითი თანამდებობების, არჩევნების გზით მოპოვების რისკების შემცირება, ჩვენთან მიიღო მახინჯი ფორმა და ის გახდა მხოლოდ პოლიტიკას შეფარებული, მარიფათიანი ვიწრო ჯგუფების მიერ, ბიუჯეტის ხარჯზე ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის საშუალება და გადაიქცა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსების წყაროდ.

ვერ ვიხსენებ ვერც ერთ პარტიას, რომელმაც სახელმწიფო დაფინანსება გამოიყენა პარტიის განვითარებისა და პოლიტიკური კულტურის ასამაღლებლად, ან იმას, რომ პარტიების სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებამ შეამცირა პარტიებში და მასთან აფილირებულ პროპაგანდის საშუალებებში თუნდაც კრიმინალური თანხების შეღწევა. რაც მთავარია, არის, ან იყო კი, ოდესმე, საზოგადოების დაკვეთა პოლიტიკური პარტიების ლიდერების ჩვენი გადასახადებით რჩენა?

თუ პოლიტიკური პარტია იმდენ წევრს ვერ აერთიანებს, რომ მათი საწევრო შენატანებით რამდენიმე ტექნიკური მუშაკი დაიქიროაოს და პარტიის ლიდერს ნორმალური ანაზღაურება ჰქონდეს, რაღა პარტიაა?! რაც შეეხება ფართო პარტიულ ღონისძიებებს ან ნებისმიერი პარტიის მიერ განსახორციელებელ სხვა, მაგალითად, წინასაარჩევნო აქტივობებს, ისინი ხომ შეიძლება საგრანტო პროგრამებით დაფინანსდნენ? ვფიქრობ, ასეთი მიდგომა უფრო შეუწყობს ხელს პარტიების განვითარებას.

სათაურად გამოტანილი „ბრძნული“ აზრის ავტორია დეპუტატი ვ. მეგრელიშვილი („გირჩი“), რომელიც, მართალია, აღარ განიხილება ნაცმოძრაობის სატელიტი ოპოზიციის ერთობის წევრად, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს რაიმე ისეთი დაპირების მიღებას „ქართული ოცნებისგან“, რომ დასდოს პატივი საკუთარ ამომრჩეველს და შებრძანდეს პარლამენტში, თუმცა ეს მისი და თავად ამომრჩევლის საქმეა. ჩვენი სადარდებელი კი ის უნდა იყოს, რომ საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახული პარტიის წარმომადგენელი ასე უპასუხისმგებლოდ რომ აცხადებს – სასამართლო არ გვაქვსო და ამიტომ პოლიტიკოსის დაჭერა არ შეიძლება, (რა თქმა უნდა, ნ. მელია ჰყავს მხედველობაში და, ალბათ, ამით შეტყობინებას უგზავნის ნაცმოძრაობას, არც ისე შორს წავსულვარო)!!! სასამართლოს არქონაში თუ ის აქვს მხედველობაში, რომ სასამართლომ გირაოს ნაცვლად რატომ პირდაპირ ციხეში არ ამოაყოფინა თავი ნ. მელიასო, კი ბატონო (თუმცა ეჭვი მეპარება), ამ შემთხვევაში სხვა სიტყვებით შეიძლებოდა ამ აზრის გადმოცემა, მაგრამ თუ კი ის აქვს მხედველობაში, როგორ გაბედა სასამართლომ ნ. მელიასთვის გირაოს ჯერ შეფარდება, ხოლო თუ გირაოს არგადახდაზე უარის გამო საპატიმროში გამწესება, ვერ ჰქონია კარგად აზროვნების საქმე. ნ. მელია რომ დამნაშავეა, განა ეს საკუთარი თვალით არ დაუნახავს?

რასაკვირველია, ზემოაღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა არ იქნებოდა საჭირო, ქვეყანაში რომ არსებობდეს სასამართლოების მიმართ საზოგადოების მყარი ნდობა, რის გარეშეც, ცხადია, შეუძლებელია, ვიქონიოთ ქვეყნის განვითარებისა და ხალხის კეთიდღლეობის ამაღლების პერსპექტივა და იმედი. რა თქმა უნდა, იდეალური სისტემები და უშეცდომო ადამიანები ბუნებაში არ არსებობენ, მაგრამ განა შეიძლება შედარება წინა ხელისუფლების დროსა და ამჟამად არსებულ სასამართლოებს შორის? ამას ვამბობ არა საერთაშორისო ინსტიტუტების მაღალი შეფასების, არამედ პირადი გამოცდილების საფუძველზე. ის, რომ ვისაც მოუნდება მარტივად და უსაფუძვლოდ წამოიძახებს, ვ. მეგრელიშვილისა არ იყოს, სასამართლო არ გვაქვსო, ძალზე სერიოზული პრობლემა მგონია, რადგან ვერც ხმის ამოღებას ვერ აუკრძალავ და ვერც უჩივლებ ვინმეს ასეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის უსაფუძვლო დისკრედიტაციის მცდელობისთვის **(ამას წინათ წავიკითხე, რომ პოლონეთში სახელმწიფო ლიდერებისა და რელიგიის შეუერაცხყოფა დასჯადია. ჩვენ რა გვიშლის ხელს?)**. არადა, ასეთი ხშირი პასუხგაუცემელი წამოძახილები ილექება ადამიანების ცნობიერებაში და როდის რა ფორმით იჩენს თავს, შეუძლებელია ამის გააზრება. გახსოვთ, ალბათ, მოსამართლე ლ. მურუსიძემ, რომელიც განსაკუთრებულად ჰყავთ ამოჩემებული, რამდენჯერ ითხოვა ოპონენტების თანდასწრებით საჯაროდ განეხილათ მის მიერ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები, რათა ფართო საზოგადოება დაერწმუნებინა მათი მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, მაგრამ მიიღო ვინმემ ეს შეთავაზება?

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელისუფლების სტრუქტურების ან საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან სასამართლო სისტემის დადებითი შეფასება, რაოდენ ობიექტურიც უნდა იყოს, არ იძლევა სასამართლოების მიმართ ხალხში ნდობის ამაღლებისთვის საჭირო ეფექტს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობაზე კი ზემოთ მოგახსენეთ, წაგებული საქმეების ადვოკატების ქცევა ხომ კიდევ ცალკე პრობლემაა, მაშინ აშკარად ჩანს, რომ აუცილებელია სასამართლოების საქმიანობის ობიექტური შეფასებისა და ამ შეფასებების საზოგადოებამდე მიტანის ახალი, სანდო გზების მოძებნა.

ეჭვი არ მეპარება, რომ ამ პრობლემაზე არა მარტო მე დავფიქრებულვარ და, ალბათ, არსებობს ან მუშავდება ამ მიმართულებით რაიმე პროექტები, მე კი გავკადნიერდები და მოგახსენებთ ჩემს, არაიურისტის, მოსაზრებას მიმართულს ამ პრობლემის მოგვარებისკენ.

კერძოდ:

რაოდენობრივად არც თუ ბევრია საზოგადოებისთვის განსაკუთრებული ინტერესის მქონე ისეთი სასამართლო საქმეები, რომლებიც ჰქმნიან ამინდს. ამასთან, საბედნიეროდ, მრავლად გვყავს პოლიტიკურად მიუკერძოებელი, იურიდიული და სხვა სამეცნიერო დარგების, ხელოვნებისა და სპორტის საზოგადოებისთვის ცნობილი, სანდო და მაღალი ავტორიტეტის მქონე წარმომადგენლები. უდავო უნდა იყოს, სახელმწიფოს დაინტერესება სასამართლო სისტემის მდგომარეობაზე, საზოგადოების მხრიდან როგორც კონტროლის, ისე ამ სისტემის ნეიტრალური შემფასებლის ობიექტური აზრით და მისი საზოგადოების ფართო წრეებისთვის გაცნობით. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად წარმომიდგენია, საზოგადოებისთვის საპატივცემულო პიროვნებების მონაწილეობით მსაჯულთა ინსტიტუტის მსგავსი დროებითი ჯგუფების შექმნა, სასამართლო სისტემის თავგამოდებული კრიტიკოსების მიერ საზოგადოებისთვის საინტერესო სასამართლო საქმეების შერჩევა, ამ ჯგუფების მიერ მათი საჯარო განხილვა და იურიდიული შედეგების არმომტანი, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი შედეგების მოსახლეობისთვის გაცნობა. თუ ამდაგვარი რამ შესაძლებელი გახდება, ვიმედოვნებ, ხელისუფლება გამოძებნის ასეთი, ქვეყნის ცხოვრებისა და პოლიტიკური ატმოსფეროს გაჯანსაღებისთვის მნიშვნელოვანი საქმიანობის დაფინანსების საშუალებებს.

* * *

ეს ვრცელი წერილი დასრულებული იყო, როცა გახდა ცნობილი უმაღლესი კლასის დიპლომატის, ბ-ნ კრისტიან დანიელსონის ინიციატივით, შემდგარი მორიგი მოლაპარაკების შედეგი. გულწრფელი მადლობა მას და ევროსაბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს.

სამწუხაროდ, როგორც მე და ალბათ, მრავალი სხვაც მოელოდა, მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდა, ისევ „ნაციონალური მოძრაობის“ უსაფუძვლო და ყავლგასული ულტიმატუმების გამო. იმედი მინდა ვიქონიო , რომ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები ობიექტურად შეაფასებენ არშემდგარი შეთანხმების მიზეზებს, შეწყვეტენ ან შეამცირებენ პრეტენზიებს ხელისუფლების მიმართ ოპოზიციის ძირითადი ნაწილის პარლამენტში არშესვლის გამო, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სტაბილურობის შემდგომ გამყარებას, რაც არის კიდეც ხელისუფლების უპირველესი ამოცანა და უმთავრესი პასუხისმგებლობა.

კარგი იქნება თუ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ინებებენ, განმარტონ, რის საფუძველზე აცხადებენ, რომ გამოხატავენ ქართველი ხალხის ნებას.

ანზორ ჭლიკაძე

31.03.21

რა „ეამაყება“ ივანე მაჭავარიანს?!



საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელა.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან წარმატებით დავასრულეთ მოლაპარაკებები „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის მერვე მიმოხილვაზე. ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე მისი დამტკიცების შემდეგ, საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდება დამატებითი ფინანსური რესურსი.

საქართველო არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც გლობალური პანდემიის დაწყებიდან მალევე, პარტნიორებისგან (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროკავშირი) მიიღო მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. ჩემთვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ მქონდა შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიმეღო ამ მოლაპარაკებებში.

მინდა გაცნობოთ ჩემი გადაწყვეტილება, დავტოვო ვიცე-პრემიერისა და ფინანსთა მინისტრის თანამდებობა. უნდა ვთქვა, რომ ფინანსთა მინისტრად, დაახლოებით, სამწლიანი მუშაობის შემდეგ, თანამდებობიდან წასვლას ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს ვგეგმავდი, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ წინ გველოდა 2021 წლის კრიზისული ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურა, ასევე, მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პროგრამის დასრულების თაობაზე, გადავწყვიტე, ეს გადაწყვეტილება რამდენიმე თვით გადამედო.

ჩემთვის პატივი და ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობა იყო მემუშავა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდთან ერთად – მთავრობის ხელმძღვანელებთან, ჩემს კოლეგებთან მინისტრთა კაბინეტში, პარლამენტის წევრებთან.

მსურს, პრემიერსა და მთავრობის წევრებს, პოლიტიკურ გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ვუსურვო წარმატება ყველა იმ გამოწვევის დაძლევაში, რომლის წინაშეც დღეს დგას ჩვენი ქვეყანა. დიდი მადლობა მათ ამ რთულ, გამოწვევებით სავსე პერიოდში, ასე ერთიანად და კოორდინირებულად მუშაობისთვის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მტკიცე თანამშრომლობისთვის, ასევე, მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, დონორი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მათ რეგიონულ წარმომადგენლობებს, საქართველოში მოქმედ დიპლომატიურ კორპუსს. პანდემიის საპასუხოდ, ჩვენ სწორედ მათი მხარდაჭერით შევძელით საკმაოდ დიდი მოცულობის რესურსების მოძიება, რაც გვეხმარება პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩემთვის სასიამოვნო იყო, რომ მომეცა შესაძლებლობა, პრაქტიკულად, ყოველდღიურ რეჟიმში მემუშავა მათთან ერთად ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის.

მადლობას ვუხდი თანამშრომლობისთვის ფინანსთა სამინისტროს შესანიშნავ გუნდს. გუნდს, რომელიც გამოირჩევა მაღალი კომპეტენციით, კეთილსინდისიერებითა და საქმისადმი ერთგულებით.

მადლობა ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, შემოსავლებისა და საგამოძიებო სამსახურების, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, სახაზინო და საფინანსო-ანალიტიკური, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურების თითოეულ თანამშრომელს.

მეამაყება რომ ვმუშაობდი თქვენთან ერთად“– წერს ივანე მაჭავარიანი.

მორიგი ანტირეკორდი: რა ეშველება ლარს?

ეროვნული ვალუტა საკუთარი ანტირეკორდის მოხსნას **განაგრძობს: ბლუმბერგის სავაჭრო ტერმინალზე დოლართან მიმართებაში ლარის კურსი 3, 46 თეთრი იყო, სავალუტო ჯიხურებში კი ერთ დოლარის ფასი 3. 52 ლარსაც კი აღწევს.**

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის რომან გოცირიძის პროგნოზით, თუ ეროვნული ბანკი დღეს ინტერვენციას არ განახორციელებს და ხელოვნურად არ შეეცდება ლარის სწრაფი გაუფასურების შეჩერებას, შეიძლება, მდგომარეობა უკიდურესად გართულდეს.

„როდესაც ბიუჯეტში მილიარდობით ნასესხები ფულია და იგი უცხოურ ვალუტაში ეროვნული ბანკის რეზერვებში ილექება, ხოლო ლარში მიმოქცევაში გადის, ინტერვენციების დაგვიანება წარმოქმნის ვალუტის დეფიციტს, პანიკას და უარყოფით მოლოდინებს. ლარის დღევანდელი გაუფასურება არის დიდწილად ეროვნული ბანკის სინდისზე“, – ამბობს **რომან გოცირიძე.**

ეკონომისტი **პაატა შეშელიძე** გარდა შეზღუდული ბიზნესსაქმიანობისა, პრობლემას დედოლარიზაციასთან დაკავშირებულ მიდგომაშიც ხედავს:

„ეროვნული ბანკის მიდგომა, რომელიც დედოლარიზაციას გულისხმობს, აბსოლუტურად მოწყვეტილია რეალობას. პირიქით, გვჭირდება ეროვნული ვალუტის დოლართან მყარი ბმა, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ინტეგრაციის თვალსაზრისით გარანტირებული ვიყოთ. საერთაშორისო ბაზრებისგან დამოუკიდებელი ლარი ყოველთვის გაუფასურდება, რადგან ის არავის სჭირდება. ამას ემატება ისიც, რომ შეზღუდულია ბიზნესსაქმიანობა, უცხოური ვალუტის შემოდინება არ ხდება. ეროვნული ბანკი მთავარი პასუხისმგებელი ორგანიზაციაა იმაზე, რაც მონეტარულ სფეროში ხდება. ისინი კი ამბობენ, რომ „მხოლოდ ინფლაციაზე ვაგებთ პასუხსო“, მაგრამ ეს აბსოლუტური ტყუილია. თუ მიდგომა არ შეიცვლება, პროცესი გაგრძელდება და ეს ერთი თვის წინ არ დაწყებულა: გრძელდება 2012 წლის ბოლოდან“.

მიუხედავად როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებისა, სპეციალისტებისთვის ბოლო დღეების განმავლობაში ლარის მსგავსი სწრაფი ტემპით გაუფასურება მაინც მოულოდნელი იყო:

„შეუძლებელია, ამის მოლოდინი ვინმეს ჰქონოდა, რომ 3,3–დან ორ დღეში კურსი 3,46 ლარი გახდებოდა“, – ამბობს **გიორგი პაპავა** და აღნიშნავს იმასაც, რომ ქვეყანაში არ არის ის ეკონომიკური სიტუაცია, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა, გვქონოდა გრძელვადიანი სტაბილური კურსი.

შექმნილ ვითარებაში ბიზნესი სახელმწიფოსგან ხელშეწყობას მოითხოვს და ბიზნეს-ასოციაციის წარმომადგენლები პრემიერ-მინისტრს ხვდებიან. ეს პირველი შეხვედრაა, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერ-მინისტრის რანგში მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან გამართა.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე აღინიშნა, ერთ-ერთი მთავარი სამსჯელო საკითხი ეკონომიკის სწრაფი გახსნა და ეროვნული ვალუტაა.

„ყველაზე დიდი გამოწვევა რეალურად, ლარის კურსია. ყველა ვხედავთ, რომ ლარი ძალიან გაუფასურდა. გვაინტერესებს, რა არის კონკრეტული ნაბიჯები, რომელიც შეიძლება, რომ მთავრობამ შემოგვთავაზოს ეროვნულ ბანკთან ერთად, რომ ლარი დავასტაბილუროთ, რადგან ეს ურტყამს მოსახლეობას, ბიზნესს და ეკონომიკაზე ძალიან ცუდად აისახება. ვაქცინაციის პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის გახსნისთვის, მაგრამ ჯერ შორს ვართ“, – განაცხადა კომპანია „ბიდიოს“ მმართველმა პარტნიორმა **ზურაბ ლალაზაშვილმა.**

„რედიქსის“ დამფუძნებლის **ლაშა პაპაშვილის** განცხადებით, საუბარი მაკროეკონომიკურ საკითხებს შეეხება:

„ლარის გაუფასურება ძალიან ცუდად აისახება არა მხოლოდ ბიზნესზე, თითოეულ მოქალაქეზე, ამიტომ, რაღაც უნდა ვიღონოთ! ძირითადი თემა იქნება მაკროეკონომიკური საკითხები, მათ შორის, შედის ლარი, საბანკო რეგულაციები, ფისკალური პოლიტიკა“.

ბიზნესასოციაციის პრეზიდენტის **სოსო ფხაკაძის** შეფასებით, **„სახეზეა მწვავე ეკონომიკური კრიზისი, ამიტომ, ბევრია გამოწვევა და გვინდა, რომ პრობლემებს ერთობლივად მივხედოთ“.**

ეკონომიკის მინისტრმა **ნათია თურნავამ** კი ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურებაზე საუბრისას აღნიშნა, რომ კურსის გამყარებისთვის ყველაფერს აკეთებს, რაც შეზღუდვების მოხსნასა და ეკონომიკის ამოქმედებაში გამოიხატება.

როგორც მინისტრი ამბობს, მიმდინარეობს მსჯელობა, რა პირობებითაა შესაძლებელი სახმელეთო საზღვრების გახსნა, რაც ქვეყანას დამატებით შემოსავლებს მოუტანს:

ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ მეზობელ ქვეყნებში, საიდანაც საქართველო ტრადიციულად, ყველაზე მეტ ვიზიტორს იღებს – სომხეთში, რუსეთსა და აზერბაიჯანში კორონავირუსული ინფექციის მესამე ტალღის დაწყება დაანონსდა, საქართველოში კი აღნიშნულს აპრილში ელიან, რადგან ვაქცინაციის ნელი ტემპიდან გამომდინარე, მესამე ტალღის თავიდან არიდება ვერ ესწრება. პარალელურად, იმატებს ყოველდღიური ინფიცირების მაჩვენებელი და ანონსდება შეზღუდვების გამკაცრებაც, რაც ეკონომიკური კრიზისის პირობებში, პოზიტიური პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ხელისუფლების მხრიდან რეგულაციების თაობაზე გაჟღერებული წინადადებაც კი ბადებს ნეგატიურ მოლოდინს, შესაბამისად, ბიზნესი კვლავ დაკვირვების რეჟიმში გადავა, რაც გულისხმობს ნაკლებ ინვესტიციას, ნაკლებ სამუშაო ადგილს, შემოსავლის კლებას, რაც ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურებისა და ფასების ზრდის პირობებში, ისედაც მნიშვნელოვნად შემცირდა.

მსოფლიო ბანკის განახლებული პროგნოზის ოპტიმისტური სცენარით, საქართველოს ეკონომიკა, რომელიც ბოლო ერთი წელია, შემცირების ტენდენციას განიცდის, 2019 წლის ნიშნულს 2022 წელს დაუბრუნდება, ხოლო პესიმისტური სცენარით – 2024 წელს.

ხალხი ითხოვს კომენდანტის საათის გაფანტვას!

საჭიროა თუ არა კომენდანტის საათის შენარჩუნება? ეს კითხვა დღეს ბევრს აწუხებს.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინფექციონისტი, გასტროენტეროლოგი **ირაკლი ხმალაძე** აცხადებს, რომ კომენდანტის საათი მისთვის დიდ პრობლემას არ ქმნის, რადგან საშვი აქვს და შეუძლია სიარული, მაგრამ რეალურად კომენდანტის საათს თუ არ გააუქმებენ, ის მაინც შეიძლება, კომენდანტის საათმა 12 საათამდე გადაიწიოს.

„ძალიან ბევრი მაღაზია არ მუშაობს, ტრანსპორტიც გვიანობამდე არ ფუნქციონირებს, არ გვაქვს ისე აწყობილი ცხოვრება, რომ ზუსტად რვა საათზე დავამთავროთ ყველაფერი და მოვასწროთ სახლში მისვლა. თუკი დინამიკაში ასე გაგრძელდა, მესამე ტალღას არ ველი, მაგრამ აქ უკვე სხვა მომენტია, თუ აცრა ჩავარდა, გამორიცხული არ არის, მორიგი ახალი ტალღის წინაშე აღმოვჩნდეთ. ზოგიერთი ამბობს, „ასტრაზენეკას“ არ გავიკეთებ და დაველოდები „ფაიზერის“ ვაქცინის შემოსვლასო, მაგრამ „ფაიზერის“ შესახებაც ბევრი ჭორი ვრცელდება. ასე რომ, ყველაფერია მოსალოდნელი. რა გგონიათ, „ფაიზერს“ გვერდითი მოვლენები არ ექნება?! იმასაც ამბობენ, ევროპელები აიცრნენ და ლოკდაუნი რატომ ცხადდება ევროპაშიო, მაგრამ ლაპარაკია ახალ შტამზე, რომლის ვაქცინაც ჯერჯერობით არ არსებობს. თუმცა, ჯერჯერობით ისეთი საშიში ეპიდემია ახალ შტამს არ გამოუწვევია და იგი ბევრად უფრო მსუბუქად მიმდინარეობს“...

* * *

ანალიტიკოსი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** მიიჩნევს, რომ, სავარაუდოდ, კომენდანტის საათის შენარჩუნება საჭიროა, ოღონდ არა 9 საათზე, არამედ სადღაც 11 საათამდე უნდა იყოს, რადგან კომენდანტის საათის გახანგრძლივებით ეკონომიკური პრობლემები მართლაც წამოვა წინა პლანზე.

ანალიტიკოსს აინტერესებს, თუ ტურისტები ჩამოგვყავს და ტურისტებს ვეძახით, მაშინ გაუგებარია, სად ვეპატიჟებით ტურისტებს 9-საათიან კომენდანტის საათზე?! ასეთ ქვეყანაში ჩამოვლენ ტურისტები?

„ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი, ტურიზმი ყოფილიყო ნომერ პირველი ეკონომიკური სეგმენტი. ვფიქრობდი, სოფლის მეურნეობა უნდა ყოფილიყო წინ, მაგრამ დღეს სხვა სიტუაციაა, შეიძლება ამ მძიმე-ეკონომიკური მდგომარეობიდან ტურიზმმა

„სად ვეპატიჟებით ტურისტებს 9-საათიან კომენდანტის საათზე?!“

გამოგვიყვანოს. როცა 9 საათზე კეტავ ყველაფერს, რომელი ტურისტი ჩამოგვივა? ტურისტებს საქართველოში უხარიათ მოგზაურობა, რესტორნები, ქართული საკვები, ჭამა-სმა. თუ ეს არ იქნება, რა უნდათ საქართველოში? ამიტომ უაზრობა მგონია 9 საათზე კომენდანტის საათის დაწესება, შეიძლება გვიანობამდე გადაიწიოს, 11-12 საათამდე, მაგრამ ამას გამართლება და ახსნა უნდა ჰქონდეს“, – აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

მისივე თქმით, ამ საკითხში სიფრთხილეა საჭირო, რადგან მთელ ევროპაში წამოვიდა კორონავირუსის მესამე ტალღა, ალბათ, ჩვენთანაც დაიწყება მესამე ტალღა და, თუ სიტუაცია სერიოზულად არ გათვალეს, შეიძლება ხელახლა ჩაკეტვა მოგვიწიოს.

ამის მიუხედავად, თუ ხელისუფლებამ ტურისტული სეზონი არ გახსნა, ხალხს გაუჭირდება და ხმას აღარ მისცემს „ქართულ ოცნებას“. ანალიტიკოსის შეფასებით, მთელი უბედურება ისაა, რომ კორონავირუსის მეორე ტალღა სწორედ საპარლამენტო არჩევნებმა მოიტანა, რადგან იმ პერიოდში ყველაფერი გახსნეს. მართალია, არჩევნების დღეს კატასტროფა არ მომხდარა, მაგრამ წინასაარჩევნო კამპანიამ, მიმოსვლამ კორონავირუსის გავრცელებას შეუწყო ხელი, ვინაიდან არაფერი შეზღუდული არ ყოფილა. დღესაც „ქართულ ოცნებას“ ისევ მოუნდება, ადგილობრივ არჩევნებში გაიმარჯვოს, ამიტომ ისევ გახსნის ყველაფერს და – შემოდგომისთვის, ალბათ, მესამე ტალღა დაგვატყდება თავს.

* * *

ანალიტიკოს **ვახტანგ მაისაია** აზრით, კომენდანტის საათის გამო სერიოზულ ეკონომიკურ რყევებს განიცდით. აქ მარტო სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე არაა საუბარი, არამედ ფსიქოლოგიურადაც მძიმე სიტუაციაა. **„ეს უკვე ფსიქოზია, სახლში გამოკეტილი ადამიანების შემხედვარე აშკარად ჩანს მასობრივი ფსიქოზის ელემენტები. ეს ჯერ არის ლატენტური ფსიქოზი, იმდენად არ გამოვლენილა, მაგრამ, როცა დაიწყება ამის გამოვლენა, ღმერთმა დაგვიფაროს, რაც მოხდება. მესმის, რატომაც ახანგრძლივებენ კომენდანტის საათს, უკვე მეოთხე ტალღა იწყება ევროპაში, „ასტრაზენეკას“ გამოც სიტუაცია დამძიმდა, მაინცდამაინც საქართველოში მოხდა ტრაგედია და 27 წლის ახალგაზრდა ქალი დაიღუპა. საქართველომ ორ პანდემიურ შემოტევას გაუძლო, ჩვენ ისეთი კრიტიკული სიტუაცია არ გვქონდა, როგორც სხვა ქვეყნებს. უბრალოდ, უნდა გამკაცრდეს შიდა რეგულაციები, პირბადის გამოყენება პოლიციამ უნდა აიძულოს ხალხს, როცა არ იკეთებენ. ქუჩაში მაინცდამაინც არ უკეთიათ პირბადე, მე რომ მიკეთია, თეთრი ყვავივით ვარ, მაგრამ მე კანონმორჩილი ადამიანი გახლავართ“,** – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

ესაუბრა მანანა ნოზაძე

ქართული ენის დღე - იდეა, მიზანი და... შედეგი

14 აპრილი ქართული ენის დღეა!

ფაქტია: ამ ეროვნული მნიშვნელობის დღედ 14 აპრილის შერჩევა 1978 წლის აპრილის მოვლენებს უკავშირდება...

1978 წლის აპრილში საბჭოთა იმპერიის იძულებითი უკანდახევა კარგად გამოიყენეს იმ დროს ქართული ენის ბედით დაგულისყურებულმა მოღვაწეებმა და ერთი წლის თავზე (1979 წლის აპრილში) კომუნისტურ მთავრობას მიაღებინეს დადგენილება **„რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“**...

ქართული ენის დღე ჯერ არ არსებობდა...

1983 წლის სექტემბერში მთავრობა ისევ ცდილობს დედაენის გულშემატკივართა გულის მოგებას და საგანგებოდ მსჯელობს ქართული ენის შესახებ ადრე მიღებული დადგენილების შესრულების თაობაზე... 1978 წლის 14 აპრილის სუნთქვა ისევ ისმის... ხელისუფლების „წასაქეზებლად“ იბეჭდება წერილები პრესაში... ქართული ენის საქმე წინ მიდის... (მარტო ის რად ღირს: ამ დადგენილებათა წყალობით საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ყველა სპეციალობაზე შემოღებული იქნა სავალდებულო კურსი „ქართული ენა“ – იგივე „ქართული მეტყველების კულტურა“, რომელიც 2003 წელს მოსულმა ხელისუფლებამ გააუქმა...)...

მაგრამ ქართული ენის დღე ჯერ არ არსებობდა...

და 1984 წელს **გაცხადდა იდეა ქართული ენის დღის** დაწესების შესახებ: აკადემიკოსი **არნოლდ ჩიქობავა** აქვეყნებს წერილს „ხალხი, ენა, მწერალი“ („ქართული სტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი VI), რომელშიც კითხვას სვამს:

„ბუნებრივი არ იქნებოდა, გვქონოდა ქართული ენის დღე, იმ ენის დღე, ურომლისოდაც რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას... ზარები არ იგუგუნებდნენ?...“

ბატონი არნოლდი აქ კიდევ ერთ საყურადღებო იდეას გვთავაზობს:

„შეიძლებოდა ქართული ენის დღე დაკავშირებოდა ქართული პოეზიის მწვერვალის – რუსთაველის დღეს: **„რუსთაველისა და ქართული ენის დღე“**... (დიდებულია: რესთაველი და ქართული ენა თანაბრად ძვირფასი და საამაყოო ჩვენთვის!)...

არსებითია ისიც, რომ აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ განსაზღვრა მიზანი ამ დღის დაარსებისა, მისი შინაარსი (გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება):

„ამ დღეს შევაჯამებდით, რა გაკეთდა ქართული ენის კვლევისთვის რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებებში... სალიტერატურო ენის ნორმათა სახელმწიფო კომისიაში, რადიოსა და ტელევიზიაში – ნორმათა დანერგვის მხრივ... რა გაკეთდა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებთა მასობრივი გამოცემების მხრივ... და ასე შემდეგ...“

როცა ამ იდეას აყალიბებდა, არნ. ჩიქობავას სწამდა:

„რუსთაველისა და ქართული ენის დღე“ (თუ **„ქართული ენისა და რუსთაველის დღე“**) იქნებოდა **„ქმნა მართლისა სამართლისა“**..., რაც ქართულ ენას არსებითად აქვს და ოფიციალურადაც ეკუთვნის“.

იდეა ძალიან ნათლად და გარკვევით იყო ჩამოყალიბებული...

მაღე ეს იდეა საქმედ იქცა – **ქართული ენის დღე დააკანონა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამამ“**... მოგეხსენებათ:

არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა (დირექტორი ბ. ჯორბენაძე) ისარგებლა იმჟამად ეროვნული მოძრაობის აღმავლობით და ხელისუფლებას ამ პროგრამის შექმნის იდეა შესთავაზა... ხელისუფლება დაითანხმეს და „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ პროექტი გამოქვეყნდა 1988 წლის 3 ნოემბერს, დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს...

დღევანდელი გადასახედიდან, შეიძლება თქმა, ეს იყო სანიმუშოდ შედგენილი სამოქმედო პროგრამა...

სწორედ ამ პროგრამაში ჩაიწერა – **14 აპრილი ქართული ენის დღეაო** – და განსაზღვრა კიდეც მისი დანიშნულება (ის, რაც ამ დღის იდეაში იყო ჩათქმული არნ. ჩიქობავას მიერ): **„ამ დღეს შეჯამდება, რა გაკეთდაო“** წლის განმავლობაში დედაენის სასიკეთოდ!...

ასე რომ, **1989 წლიდან 14 აპრილი ოფიციალურად არის ქართული ენის დღე**... 1990-1991 წლებში „ამ დღეს ვაჯამებდით, რა გაკეთდა ქართული ენის“ სასიკეთოდ ქვეყანაში...

მაგრამ 1991 წლიდან ეს პროგრამა გვერდზე გადადეს... იმჟამინდელმა ერთ-ერთმა „მოღვაწემ“, ვისაც პრეტენზია ჰქონდა ამ საქმის თავკაცობისა, თქვა: ეს კომუნისტების პროგრამაა, ჩვენ უკეთეს პროგრამას შევადგენთო... მაშინაც ვწერდით: ეს ქართული ენის პროგრამა იყო და არა კომუნისტების პროგრამა... (ხომ გაგიგიათ – გასული საუკუნის დასაწყისში რევოლუციის შემდეგ „კაპიტალისტური რკინიგზის“ აყრა რომ მოინდომეს – ბოლშევიკური მატარებელი მასზე ვერ გაივლისო?...)... და ქართული ენა დარჩა სახელმწიფო პროგრამის გარეშე; ქართული ენის დღე იქცა ისეთივე უშინაარსო და უსახურ „დღესასწაულად“, როგორიც იყო კომუნისტების დროს „მელიორატორისა“ თუ „ვაჭრობის მუშაკის დღე“...

დიახ, ქართული ენის დღეს გამოეცალა შინაარსი, აზრი და მიზანი...

ამის შემდეგ კი:

სათოთხმეტაპრილოდ გვახსენდება ქართული ენის დღე მხოლოდ... ტელევიზიებმა შეიძლება რომ თითო მოკლე სიუჟეტი მიუძღვნან; 1978 წლის მოვლენების რომელიმე მონაწილეს გაახსენებინებენ, იმ დროს როგორ „იომა“ (დღეს ყველა გმირია!..)... და დაველოდებით მომავალი წლის 14 აპრილს...

ვგრძნობდით, რომ ასე იქნებოდა და ენათმეცნიერების ინსტიტუტმა 90-იან წლებში წამოიწყო ბრძოლა ახალი იდეისთვის – ენის კანონისთვის... ესეც გრძელი ისტორიაა... მოკლედ: 2003 წელს ენის სახელმწიფო კომისიამ განიხილა და პარლამენტს გადასცა „ენის კანონი“... შეიცვალა ხელისუფლება და ეს კანონი „დაიკარგა“ პარლამენტში... 2012 წელს ისევ გაცოცხლდა იდეა ენის კანონის შექმნისა და **2015 წლის 22 ივნისს** პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“.

გაჩნდა იმედი იმისა, რომ კანონი უზრუნველყოფდა დედაენის დაცვასა და განვითარებას; **ქართული ენის დღე – 14 აპრილი – დაიბრუნებდა შინაარსს** („ამ დღეს შეჯამდებოდა, რა გაკეთდაო“)...

სამწუხაროდ, გამოვიდა, რომ **კანონი მიიღეს კანონისათვის:** კანონის მიხედვით, **2016 წლის 1 თებერვლამდე უნდა შექმნილიყო „სახელმწიფო ენის დეპარტამენტი“** (მთავარი მექანიზმი კანონის აღსრულებისთვის), ხოლო **2016 წლის 14 აპრილამდე უნდა დამტკიცებულიყო „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა“**... და მრავალი სხვა...

ორწელიწადნახევარს ვიბრძოდით, რომ პრემიერ-მინისტრს შეესრულებინა კანონის მოთხოვნა, შეექმნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი... და როცა ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია აქციებით დაემუქრა ხელისუფლებას, „მოიღო მოწყალება“ და 2017 წლის 27 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა (გ. კვირიკაშვილმა) გამოსცა ბრძანება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნის შესახებ... დეპარტამენტი კი შეიქმნა, მაგრამ...

„სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა“ ჯერაც არ არსებობს... არადა, კანონის მოთხოვნის შესაბამისად **ხუთი წლის წინათ დამტკიცებული უნდა ყოფილიყო**... პროგრამის არარსებობისა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის არაჯეროვანი საქმიანობის გამო (დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ენის კანონის 36-ე და 37-ე მუხლებს – რა ევალება დეპარტამენტს...), **სახელმწიფო ენის კანონი არსებითად არ მოქმედებს**...

აკაკი წერეთელმა დაიჩივლაო: **„უცნაური კაცი ვარ – ცოლი მყავს და არა მყავსო; პენსია მაქვს და არა მაქვსო“**... ჩვენც გვჭირს ეს უცნაურობა: **კანონი გვაქვს და არა გვაქვს**...

დიახ, კარს მომდგარ 14 აპრილს კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ქართულ ენას და დაველოდებით მომავალი წლის აპრილს...

ფიქრი მაინც არ გვასვენებს: შეიძენს კი ქართული ენის დღე ოდესმე იმ შინაარსს, რაც იყო ჩაფიქრებული იდეის ავტორის მიერ? რა დატვირთვაც თუნდაც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჰქონდა ამ დღეს?.. **სახელმწიფო ენის კანონი იკანონებს?**..

მანამდე კი თანავუგრძნოთ ჩვენს დედაენას: „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ!...“

გიორგი გოგოლაშვილი
(ტ. 599 51 84 93)

კომპრომისი

ახალგაზრდა ჟურნალისტი წინა დღითვე დაუკავშირდა რადიკალური ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა სთხოვა.

– კეთილი, ბინაში დაგელოდებით, – იყო მოკლე პასუხი.

კარი ზამბახისფერთმიანმა მოსამსახურე ქალმა გაუღო. მაკა უმალ მოხიბლა ყურებპარტყუნა პუდელმა, რომელიც კართან შეეგება ჟურნალისტს და პატრონს კუდის ქიცინით წარუდგინა.

– ნურაფრის მოგერიდებათ, თავი შინაურულად იგრძენით, – თქვა სავარძელში ყინჩად მოკალათებულმა ოპოზიციონერმა და სტუმარს ცალყბად გაუღიმა.

– დიდხანს არ გაგაცდენთ, ქალბატონო ელბა, სულ რამდენიმე კითხვით შემოვიფარგლები, – მოიკატუნა თავი ჟურნალისტმა.

– არსად მეჩქარება, ვისაუბროთ რამდენიც გნებავთ და რაზეც გნებავთ, – იგულუხვა მასპინძელმა.

– არ იფიქროთ, ამ აზრს მეც ვიზიარებ, – წამოიწყო მორიდებულად ჟურნალისტმა, – მაგრამ ბევრს მიაჩნია, რომ საქართველოში ოპოზიცია გახლავთ მედიის პროდუქტი და არსებობისთვის საკუთარი რესურსი არ გააჩნია.

– მაგრამ თუ რეალურად არ ვარსებობთ, მაშინ რატომ გვიწევენ ყელს, ჩემო კარგო, პარლამენტში შემობრძანდითო?

– ჰო, რა თქმა უნდა, – დაუკანტურა თავი ჟურნალისტმა, – თქვენ ძალას ანგარიშს რომ არ უწევდნენ, ევროსაბჭოს თავკაცი შარლ მიშელი მაშველ რგოლად პოზიცია-ოპოზიციის დასაზავებლად თბილისში საკუთარი ფეხით კი არ ჩამობრძანდებოდა!

– მარტო მიშელი? მის მიერ მაშველად გამოგზავნილი დანიელსონიც კარგა ხანს აგვარებდა ჩვენს ხელისუფლებასთან საერთო ენის გამოძებნის პერსპექტივას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. 30 მარტს შვიდსაათიანი, ეს უკვე მეორედ, საიდუმლო ბჭობის მიუხედავად, არაფერი გამოვიდა და ბატონი დანიელსონი გაბრაზებული გაეცალა თბილისს.

– ალბათ, ამერიკის პრეზიდენტიც არ იტყოდა უარს ამ ხელოვნური კრიზისის მოსაგვარებლად თბილისში სტუმრობაზე, თვითმფრინავის ტრაპზე ასვლისას რომ არ წაქცეულიყო და ფეხი არ დაეზიანებინა.

– ისე, ამდენი დავიდარაბის შემდეგ, მაინც ვერ გავრკვეულვარ, ქალბატონო ელბა, რატომ ამბობთ ასევე სასტიკ უარს ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები პარლამენტში შესვლაზე?

– ჩვენ შორის კომპრომისი არ შედგა და იმიტომ.

– მერედა, რატომ არ შედგა?

– იმიტომ, რომ ხელისუფლება დათმობაზე არ წამოვიდა.

– თქვენ კი წახვედით დათმობაზე?

– როგორ არა, რახანია, ვადამდელი არჩევნების დანიშვნას და პოლიტპატიმრების გათავისუფლებას მოვითხოვთ, მაგრამ ოცნებელები ჯიქურ უარზე არიან.

– იქნებიან, აბა, არ იქნებიან? ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფალთ გადარჩევა თუ მოუწადინეთ, ეგ რაღა დათმობაა?

– სწორედაც რომ დათმობაა. თუ ვადამდელ არჩევნებს დაყაბულდებიან, დესტაბილიზაციას და ქუჩის აქციებს შევეშვებით და ხელისუფლებაში ყოფნის ბედნიერებას გავუხანგრძლივებთ.

– მერე მაგას ვერ ხვდებიან? – ეტყობა, ვერ ხვდებიან, თორემ ვადამდელი არჩევნების დანიშვნას და მელიას გათავისუფლებას რა უნდა? გაუღონ ციხის კარი და მოზვერივით გამოვარდება.

– ესე იგი, კომპრომისი რომ შემდგარიყო, ყველაფერი იოლად მოგვარდებოდა?

– რა თქმა უნდა, უკომპრომისობამ გაყარა ჩვენი ერთად ცხოვრების გზები.

– საგულისყუროა, ოპოზიციაში შიგნით თუ გაქვთ ეგ კომპრომისი, ასე რომ ელოლიავებით?

– ეგ რომ არ გვქონდეს, აქამდე როგორ მოვიდოდით?

– გინდათ თქვათ, რომ ოპოზიციაში ყველა ერთი ჭკუით აზროვნებს?

– არა, რა თქმა უნდა, განსხვავებულად ვაზროვნებთ (ზოგი, მაგალითად, პარლამენტში შესვლასაც ითხოვს), მაგრამ იმ გადაწყვეტილებას ვიღებთ, რასაც ლიდერი გვიკარნახებს!

– სააკაშვილს გულისხმობთ?

– აბა, ვის, სხვა ლიდერი არც ადრე გვყოლია და არც ახლა გვყავს.

– რა ვიცი, ამას წინათ რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ლავროვმა ეგ თქვენი ლიდერი ისეთი სიტყვებით შეამკო, მაგის მაგივრად მე შემრცხვა.

– ვიცი, მაგათ რაც ალაპარაკებთ – შური, ბოღმა და მეტი არაფერი.

– რის ბოღმა, ქალბატონო ელბა?

– ბოღმა იმისა, რომ ფაქტობრივად რუსეთთან დამარცხებულ ომში სააკაშვილმა გაიმარჯვა (ასეთი რამ მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს), ბოღმა იმისა, რომ რუსებს დიქტატორი და ოკუპანტი პრეზიდენტი ჰყავთ, ჩვენ კი სააკაშვილის სახით კაცთმოყვარე, მსოფლიოში აღიარებული დემოკრატი და მოუღლელი რეფორმატორი პრეზიდენტი გვყავდა, რომლის დროსაც ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა, ხალხმა სარჩო-საბადებელი იშოვა და განცხრომას მიეცა.

ამის გაგონებაზე პუდელი რატომღაც უხერხულად შეიშმუშნა.

– ძაღლს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, – გამაფრთხილა მასპინძელმა, – არის საკითხები, რომლებზეც ჯეკას ჩემგან განსხვავებული აზრი აქვს.

– რა კარგია, – აღფრთოვანება ვერ დამალა ჟურნალისტმა, – თქვენს ოჯახში ძაღლიც კი პლურალურად აზროვნებს.

– ჰო, რუსეთში არ არის გაზრდილი და იმიტომ.

– აბა, ოჯახში კომპრომისის მიღწევა არ გაგიჭირდებათ.



– არა, ძაღლია, მაგრამ კაი პოლიტიკოსივით აზროვნებს. მან იცის, რომ ოჯახში სააკაშვილი მე ვარ და მუდმივად მაკომპრომის-მელაქუცება...

ოთარ ხუციშვილი
(599482725)

2018 წლის 1 მარტს, რუსეთის პრეზიდენტმა ფედერალურ კრებას მიმართა და ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი ღრმა წყლების უპილოტო ხომალდის შექმნა აცნობა. პუტინმა განმარტა, რომ ხომალდს საკმაოდ დიდი მანძილის დაფარვა და ბირთვული იარაღის გადატანა შეუძლია.

რა საფრთხეს წარმოადგენს პუტინის ხელში ხელოვნური ინტელექტი?!

ПРЕЗИДЕНТИС განცხადებით, მრავალფუნქციური ოკეანის სისტემა „პოსეიდონი“ რუსულ საზღვაო არსენალს 2027 წლამდე უნდა შეუერთდეს. პრეზიდენტის მიმართვიდან მალევე, რუსეთში ხელოვნური ინტელექტის თემაზე პირველი კონფერენცია, სახელწოდებით: **„ხელოვნური ინტელექტი: პრობლემები და მათი დაძლევის გზები“** გაიმართა.

მომხსენებელთა შორის რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუც იყო. მან სამხედროებსა და მეცნიერებს გაერთიანებული ძალისხმევით ხელოვნური ინტელექტის განვითარებისკენ მოუწოდა. **„ეს რუსეთის ტექნოლოგიური და ეკონომიკური უსაფრთხოების წინაშე არსებულ საფრთხეებთან გასამკლავებლად არის საჭირო“,** — დასძინა შოიგუმ.

პრეზიდენტის განცხადებებიდან ისე ჩანს, თითქოს რუსეთი სულ მცირე ხელოვნური ინტელექტის სამშობლოა. სინამდვილეში კი, კრემლი მხოლოდ პრიმიტიულ მიღწევებს აპიარებს. პუტინის სურვილის მიუხედავად, რომ ხელოვნური ინტელექტით „მსოფლიო მართოს“, რუსეთის მწირი შესაძლებლობები ამ სფეროს განვითარებისთვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის. მთავარი გამოწვევა მოსკოვისთვის „ტალანტის“ დეფიციტია. რუსეთში ძალიან ცოტა ადამიანი სწავლობს ხელოვნურ ინტელექტს, არც ახალი მეთოდების დანერგვაზე ზრუნავს ვინმე. აკადემიური გადმოსახედიდან, 1996-2017 წლებში, ხელოვნური ინტელექტის შესახებ სამეცნიერო ნაშრომების რეიტინგში რუსეთი 42-ე ადგილს იკავებდა, რაც კარგი მაჩვენებელი არ არის. ქვეყანაში ხელოვნური ინტელექტის სფეროში 193 სტარტაპი ფუნქციონირებს, ჩინეთში კი, ეს რიცხვი 1226-ს აღწევს. სტუდენტები რუსეთიდან დასავლეთში გარბიან. გასულ წელს ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით რუსი დოქტორანტების ნახევარმა ემიგრაციის სურვილი გამოთქვა. საინტერესოა ისიც, რომ ყველაზე წარმატებული ანტრეპრენერები სან-ფრანცისკოს „სილიკონ ველი“-ში აგრძელებენ საქმიანობას. ასეთია, მაგალითად, Mail.ru-ს თანადამფუძნებელი, იური მილნერი.

„ტვინების გადინება“ უშუალოდ ხელოვნური ინტელექტის სფეროს გარდა, რუსეთის თავდაცვის სამინისტროსაც უქმნის პრობლემებს. 2016 წლისთვის, რუსეთის სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსები თანამშრომლების მკვეთრ დანაკლისს განიცდიდნენ. თავდაცვის ინდუსტრიაში დასაქმებული 30 წელზე ნაკლები ასაკის ადამიანების მაჩვენებელი მხოლოდ 4%-ს შეადგენდა. რუსეთი ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების გასაშვები სპეციალური აღჭურვილობის წარმოებასაც ვერ ახერხებს, ამიტომ ტაივანიდან და სამხრეთ კორეიდან ნაწილების იმპორტზეა დამოკიდებული. რუსული ელექტრონული ინდუსტრია მხოლოდ ლიმიტირებული სპეციფიური სამხედრო პროდუქტების წარმოებაზეა გადასული. რუსეთი მსოფლიოში არსებული ხელოვნური ინტელექტის 500-მდე სუპერკომპიუტერიდან მხოლოდ 3-ს ფლობს. მაშინ, როდესაც მაგალითად ჩინეთს ასეთი 228, ხოლო იაპონიას 29 კომპიუტერი აქვს. რუსეთი ხელოვნური ინტელექტის სფეროში მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმ ქვეყნებს, რომლებსაც ამ სექტორში პირველობის პრეტენზია აქვთ. ერთადერთი, რითაც მოსკოვი ყველას უსწრებს, უსაფუძვლო ამბიციებია.

თუმცა, ის რომ კრემლი ხელოვნური ინტელექტის სფეროში ლიდერი ვერ გახდება, არ ნიშნავს, რომ ლიმიტირებული რესურსების საკუთარი და სხვა ქვეყნების მოქალაქეების წინააღმდეგ გამოყენებას ვერ მოახერხებს.

საგულისყუროა, რომ შეიარაღების ახალ მოდელებს რუსეთი სირიაში აქტიურად ტესტავს. 2016 წელს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო უპილოტო საფრენი აპარატების გზით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულებას აკვირდებოდა.

მოგვიანებით, უპილოტო საფრენი აპარატი Orlan-10, რომელსაც დაკვირვებასთან ერთად იარაღის გადატანაც შეუძლია, სირიის თავზე აქტიურად დაფრინავდა. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო საზოგადოება რუსეთის აქტივობებთან ყურადღებით უნდა იყოს.

საგულისყუროა ისიც, რომ რუსეთის ხელოვნური ინტელექტის განვითარების მთავარი საინიციატივო „ციფრული ეკონომიკის პროექტი“, „აუთსორს“-ის საშუალებით, ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე ზრუნვას სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ კომპანიებს ავალებს. ამ გზით, კონკურენცია ფაქტობრივად გამორიცხულია. თუ კრემლთან ურთიერთობა დალაგებული არ გაქვს, მაშინ ამ სფეროში ვერაფერს მოახერხებ. ხოლო თუ ოფიციალური მოსკოვი გაფინანსებს, მაშინ შენი საქმიანობაც პუტინის დავალებების შესრულებით შემოიფარგლება. ასე რომ, მთავრობისგან დაფინანსებული ფირმები ინოვაციურ პროდუქტს ვერ ქმნიან, მაგრამ კრემლს პოლიტიკურ მოთხოვნებს უსრულებენ. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მოქალაქეების ქცევის გაკონტროლებას ცდილობენ. ტექნიკურად ეს კომპანიები რუსეთის ხელისუფლებას არ წარმოადგენენ, ამიტომ, როგორც კერძო კონტრაქტორი სამხედრო ფირმების შემთხვევაში, კრემლი მათ აქტივობებს საჭიროების შემთხვევაში ემიჯნება. ამ მოდელით, პუტინს ყოველთვის შეუძლია ფირმებს არალეგალური საქმიანობა დაუკვეთოს, თუმცა პასუხისმგებლობა თავის თავზე არ აიღოს.

ხელოვნურ ინტელექტს მსოფლიოსთვის ბევრი დადებითი ცვლილების მოტანა შეუძლია. ტექნოლოგიური განვითარების ამ ასპექტს ადამიანური შეცდომების მინიმუმამდე დაყვანის პოტენციალი აქვს. თუმცა, პოზიტიურ მხარესთან ერთად, არასწორ ხელში აღმოჩენის შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობისთვის უდიდესი საფრთხის წყაროც შეიძლება გახდეს. მოსკოვი, რომელმაც წლების განმავლობაში მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის გამოყენებით აგრესორის იმიჯს დამსახურებულად ირგებს, ხელოვნური ინტელექტის სფეროში სანდო აქტორი არ არის.

პუტინი „რეაქტიული“ ლიდერია, ყოველთვის, როდესაც თავს დაუცველად გრძნობს, რუსეთზე სუსტი და პატარა ქვეყნების გამოყენებას ძალის დემონსტრირებისთვის ცდილობს. ის ირაციონალური პოლიტიკოსია და დემოკრატიული სამყაროს მმართველებისგან განსხვავებით, საგარეო პოლიტიკას ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით კი არ გეგმავს, არამედ იმპულსურად, სხვების ქმედებებზე საპასუხოდ იღებს გადაწყვეტილებებს. ძალაუფლების უზურპაციის გზით, პუტინი არც საკუთარი მოქალაქეების წინაშე გრძნობს პასუხისმგებლობას. ყველაფერი, რასაც დემოკრატიულ სამყაროში ბალანსის მექანიზმად იყენებენ, რუსეთში უბრალოდ არ არსებობს. ამიტომაც, სამხედრო სფეროში ხელოვნური ინტელექტის დანერგვის მცდელობები, თუნდაც უშედეგო, უკონტროლო ავტოკრატის პირობებში თავისუფალი სამყაროს მოქალაქეებისთვის საფრთხის შემცველია. რუსეთის ხელისუფლების ხელოვნური ინტელექტით დაინტერესება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მეტ ყურადღებას საჭიროებს.

ლელა გვალია

ტრამპი კვლავ იყრის კენჭს



აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება დაადასტურა.

ჟურნალისტის კითხვას, არსებობს თუ არა იმედი, რომ 2024 წელს კვლავ იყრის კენჭს, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტმა უპასუხა: **შეგიძლიათ ამის იმედი გქონდეთ. ჩვენი ქვეყანა გვიყვარს. ჩვენი ქვეყნის წინაშე ვალში ვართ და ქვეყანას უნდა დავეხმაროთ.**

25 მარტს თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმაც განაცხადა, რომ 2024 წელს მეორე ვადით იყრის კენჭს.

ევროკომისია პოლონეთის წინააღმდეგ

„ევროკომისიამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო პოლონეთში მოსამართლეების უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დაცვის კუთხით. ევროკომისიას ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში პოლონეთის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს. ეს სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ პოლონეთის კანონში არსებული დარღვევების აღმოფხვრის პროცედურის ნაწილია“, — განაცხადა ევროკომისარმა. ევროკომისარმა დიდიე რეინდერსმა ასევე აღნიშნა, რომ პოლონეთის სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ კანონი ძირს უთხრის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრინციპს და მოსამართლეებზე ზეწოლის განხორციელების საშუალებას იძლევა.

„ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფო დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლეების იმუნიტეტის საკითხზე, თუმცა ევროკავშირის პრინციპი მოითხოვს, რომ მოსამართლეებისთვის იმუნიტეტის გაუქმების საკითხი არა სახელმწიფომ, არამედ დამოუკიდებელმა ორგანომ მიიღოს. თავის სარჩელში ევროკომისია სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ კანონის გაუქმებას ან მისი მოქმედების შეჩერებას ითხოვს იმ ნაწილში, რომელიც მოსამართლეების უფლებამოსილების შეჩერებას ეხება“, — აღნიშნა ევროკომისარმა.

მოუხელთებელი რუსი ჰაკერები

გასულ წელს რუსმა ჰაკერებმა სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლების ათასობით ელექტრონული წერილი მოიპარეს, — ინფორმაციას ამის შესახებ გამოცემა Politico აშშ-ის კონგრესის წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს. ჰაკერებმა წვდომა მიიღეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპის, ევრაზიისა და აღმოსავლეთ აზიის ბიუროების მიმოწერაზე.

არსებული ინფორმაციით, ჰაკერებს სახელმწიფო დეპარტამენტის გასაიდუმლოებულ ქსელზე წვდომა არ მიუღიათ. სახელმწიფო დეპარტამენტში კიბერშეტევის მასშტაბისა და სხვა დეტალების შესახებ კომენტარს არ აკეთებენ.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზაურ გოგოლაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** ზაურ გოგოლაძე (პ/ნ 01019028503), თბილისი, ღრმაღელის ქუჩის შესახვევი №6ა.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ღრმაღელის ქუჩის შესახვევი №6ა (საკადასტრო კოდი: 01.12.09.029.079).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 71542 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 2 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 16 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP70164321;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 701643
6. **მოვალე:** ამირან გოგოლაძე (პ/ნ 01013023611), თბილისი, ღრმაღელის ქუჩის შესახვევი №6ა.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP70164321; ლოტის ნომერი: 701643).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 16 აპრილის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს როლანდი გაბუნიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** როლანდი გაბუნია (პ/ნ 39001030419), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, სადარბაზო 3, ბინა №144
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, მარატ ნოზაძის ქ. №8, სადარბაზო 3, სართული 10, ბინა №144 (საკადასტრო კოდი: 01.11.12.015.194.01.01.144).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9140.9 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 2 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 16 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP70164521;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 701645
6. **მოვალე:** როლანდი გაბუნია (პ/ნ 39001030419), თბილისი, გლდანის 1 მ/რ, სადარბაზო 3, ბინა №144.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP70164521; ლოტის ნომერი: 701645).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 16 აპრილის 10:00 საათამდე.

უძლები შვილი პეტრე ცაავა გაქნილი პროვოკატორიც გახლავთ!

ჟყონდიდის ყოფილი მიტროპოლიტი პეტრე ცაავა მხარდამჭერებთან ერთად გუშინ საპატრიარქოსთან იმყოფება, მასთან ერთად ადგილზე მსჯავრდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძის ძმაც იყო. პეტრე ცაავას თქმით, მრევლი პატრიარქთან შეხვედრასა და საკითხის გარკვევას ითხოვს.

„მან თქვა, რომ მეუფე პეტრე არის უძღები შვილი და მელოდება, ამით მან შეცდომაში შეიყვანა საზოგადოება და სახარება განმარტა არასწორად. უძღებმა შვილმა მამას მოსთხოვა მისი ქონების წილის აღება, მამამ გაუშვა, მის თავისუფალ ნებას არ გაუწია წინააღმდეგობა და რა თქმა უნდა, თავი ვერ გაართვა უძღებმა შვილმა დამოუკიდებელ ცხოვრებას, ჩავარდა ცოდვებში, მაგრამ შემდეგ მოეგო გონს და დაბრუნდა მამასთან სინანულით.

თუ პატრიარქი თავის თავს მამად მიიჩნევს, მივედი მამასთან, ე.წ. მამასთან და ვუთხარი, რომ თქვენ თუ ხართ ამ ოჯახის უფროსი, ამ ოჯახში ყველაფერი ყარს, არის უსამართლობა, სისტემური დანაშაული, თქვენ მფარველობთ ეკლესიაში უზნეობას, უსამართლობას, გყავთ პირადი პატიმარი, არ არის ქრისტიანობა და დავიწყოთ ამ ოჯახის სიმყრალისგან გათავისუფლება. ამის სანაცვლოდ მამამ გამაგდო სახლიდან, რა თქმა უნდა, უკანონოდ. თუ პატრიარქი დამიდასტურებს, რომ მე ვარ უძღები შვილი, მე მზად ვარ მოვინანიო, მაგრამ თუ მე დავუდასტურებ, რომ ის არის უძღები შვილი ღვთის წინაშე, რომელიც განუდგა ღმერთს და ქრისტეს კანონებით არ მართავს ეკლესიას, რა თქმა უნდა, მან უნდა მოინანიოს“, – განაცხადა პეტრე ცაავამ.

განცხადება

სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ იწვევს თავის აქციონერებს საერთო კრებაზე, რომელიც შედგება 2021 წლის 26 აპრილს, დღის 12 საათზე, საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გაზმირი 57-ა.

დღის წესრიგი:

1. სს „თბილქალაქმშენის“ მიერ 2020 წელს გაწეული სამეწარმეო საქმიანობის შედეგების განხილვა.

2. სხვადასხვა.

სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2021 წლის 22 აპრილი.

სამეთვალყურეო საბჭო.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლილი ჩიბურდანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** ლილი ჩიბურდანიძე (პ/ნ 61006021461), ბათუმი, აფსაროსის მე-3 შესახვევი, კორპუსი 14, ბინა №16
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, აფსაროსის მე-3 შესახვევი, კორპუსი 14, ბინა №16 (საკადასტრო კოდი: 05.36.24.043.01.016).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 30854.44 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 2 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 16 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP70164921;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 701649
6. **მოვალე:** ნუგზარ ბერიძე (პ/ნ 61006007446), ბათუმი, აფსაროსის შესახვევი 3, კორპ. 14, ბინა №16;
ზურაბ ბერიძე (პ/ნ 61006074652), ბათუმი, აფსაროსის შესახვევი 3, კორპ. 14, ბინა №16;
ოთარ ჯაყელიძე (პ/ნ 61006016240), ხელვაჩაური, სოფ. შარაბიძეები.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP70164921; ლოტის ნომერი: 701649).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 16 აპრილის 10:00 საათამდე.

საკვპრთველოს გაზაფხული

გარდაეხა ინყება

მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ რაუნდში საქართველოს ეროვნული ნაკრების მოუგებელ შეხვედრათა რიცხვი 18-მდე გაიზარდა.

ასევე სავალალოდ რჩება „ჯვაროსანთა“ მატჩების ბალანსი ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან – უკვე 7 მატჩში 5 წაგება და მხოლოდ მეორე ფრე, მაგრამ სალონიკის „ტუმბა არენაზე“ იმავე ელადელებთან ვილი სანიოლის თავკაცობით გამართულ მესამე ბრძოლაში მოპოვებული პირველი ქულა მაინც ძვირად ფასობს – როგორც იქნა, ბიჭებმა ნავსი გატეხეს!

საბერძნეთი – საქართველო 1:1 (0:0)

გოლები: კაკაბაძე (76-ე წთ. საკუთარ კარში); კვარაცხელია (78-ე წთ).

მსაჯი: მარცინიაკი (პოლონეთი).

მუნდიალ – 2022-ის ჯგუფური საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე ტურის დასკვნითი სათამაშო დღე სომხეთისა და რუმინეთის დუელით გაიხსნა, რომელსაც ერევანმა უმასპინძლა და ჩვენ მეზობელთა მესამე გამარჯვების პარალელურად, საკუთარ სექსტეტში მოულოდნელი ერთპიროვნული გალიდერებით დასრულდა, რადგან მოგვიანებით გერმანია საკუთარ მინდორზე, პირველად უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, სენსაციურად დამარცხდა ევროპა ლიგაში ჩვენებურთა ამასწინანდელ ოცნებათა მესაფლავე ჩრდილოეთმაკედონელებთან – 1:2.

სხვათა შორის, შარშან შემოდგომაზე თბილისში ყარაბაღის ომში შერცხვენილი სამშობლოს შვილებმაც გაგვაწბილეს და ახალი ტურნირის „ბ“ დივიზიონში აღზევდნენ, ამიტომ, ძალაუნებურად, მათი 8-მდე გაზრდილი წაუგებელი სერიის მორიგმა შეხვედრამ არა მარტო სპორტული კუთხითაც დაგვაინტერესა.

პირდაპირ უნდა ითქვას – ესპანელი ხოაკინ კაპაროსის გაწვრთნილი გუნდი, განსაკუთრებით შესვენების შემდეგ, მინდორზე დაფრინავდა და ტრიბუნებზე დაშვებულ გულშემატკივართა ქომაგობით გამხნევებულმა, ბოლო წუთებზე დააჩოქა კიდეც მოედანზე 10 კაცით დარჩენილი კარპატელები.

მიხვდით, ალბათ, რატომაც დავუთმეთ აღნიშნულ, ერთი შეხედვით რიგით მატჩს, ამდენი ყურადღება: დიახ, პრინციპულ მოწინააღმდეგეთა ასეთი „საქმენი საგმირონის“ შემდეგ თანამემამულეთა ზედიზედ მესამედ მშრალზე დატოვების უფლება არც წმინდა სტატისტიკური და, უპირველესად – არც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უბრალოდ, აღარ გვქონდა.

სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ მორალურად წელგამართულები იმსახურებენ დითირამბებს, რადგან, გარდა იმისა, რომ სამი დღის წინათ შინ ესპანეთთან საინფარქტო, ნოკაუტის ტოლფასი იმედგაცრუება გადახარშეს, ამჯერად უკვე უშუალოდ ჰოლანდიელი ჯონ ვან შიპის შეგირდებთან ასევე დამთრგუნველად განვითარებულ მოვლენებს გაუმკლავდნენ ღირსეულად. მართლაც, კაკაბაძის ავტოგოლი ბევრს გატეხდა, ჩვენ კი საპასუხო ჩხვლეტისთვის ორიოდე წუთი გვეყო.

რაც შეეხება საერთო შთაბეჭდილებას, დაღლილობისა (3 თამაში 6 დღეში, პლუს გადაფრენებში გატარებული დაახლოებით 25 საათი) და ჯერაც არასაკმარისი შეუთამაშებლობისა (ფრანგი დამრიგებელი ხომ სულ თვენახევრის წინ დაინიშნა თანამდებობაზე), ნელ-ნელა იკვეთება ის კონტურები, უნიჭიერეს თაობას ომახიანი სიტყვა რომ უნდა ათქმევინოს საერთაშორისო სარბიელზე ამ ეტაპზე უდავოდ საუკეთესო კონდიციებში მყოფი **ხვიჩა კვარაცხელიას** მეწინავეობით, რომელმაც მორიგი გოლი – შედევრი სალონიკშიც შექმნა.

კი ბატონო, ელემენტარული ტექნიკური წუნის დიდი პროცენტული წილი ეიფორიაში ჩავარდნისგან პრევენციისკენ გვიბიძგებს, მაგრამ ვერც იმას გავიხსენებთ ადვილად, უკანასკნელად როდის მოვაწოდეთ გასვლაზე ერთბაშად 9(!) კუთხური.

მოკლედ, საშემოდგომო სესიამდე, ანუ კოსოვოსთან თბილისში 2 სექტემბერს დანიშნულ შემდეგ მატჩამდე, საკუთარი ძალების რწმენა რომ გაგვიჩნდა და გულშემატკივრებს ოპტიმიზმი გაუღვიძა, სანიოლის ფორმაციის ნაკრების პირველ მიღწევად სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს. ვიმედოვნებთ, მანამდე გამოჯანმრთელებული ლაზარეთის ბინადრებიც დაგვიბრუნდებიან და სტრატეგიული მიზნებისკენ ნაბიჯის გადადგმაც გაგვიიოლდება.

ესპანეთი – კოსოვო 3:1

ესპანეთი – 7, შვედეთი – 6, საბერძნეთი – 2, საქართველო – 1, კოსოვო – 0 ქულა.

◎ რინგს მიღმა

უკვე - ქალიც!

მართალია, ჯერჯერობით ტოკიოს ოლიმპიადის საგზური მხოლოდ სახილ ალახვერდოვმა მოიპოვა და კიდევ რამდენიმე ჩვენი მოკრივე იბრძვის იაპონური ფორუმის ლიცენზიის დასაუფლებლად, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები რინგს მიღმა ვითარდება.

უპირველესად, აღსანიშნავია ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის, ევროპის კრივის ფედერაციის ქალთა და კრივის განვითარების კომისიების წევრის **მარიამ დუნდუას** კიდევ ერთი აღიარება, რომელიც, პირველად ქართული სპორტის ისტორიაში, აიბა-ს დირექტორთა საბჭოს წარდგინებით, ამ ორგანიზაციის საშეჯიბრო კომისიაში აირჩიეს და პოლონეთში ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიიწვიეს.

ასევე პირველად, აიბა-ს დირექტორთა საბჭომ მსაჯთა კომისიის წევრად საერთაშორისო კატეგორიის 3-ვარსკვლავიანი რეფერი, აიბა-ს მსაჯთა ინსტრუქტორი, ევროპის მსაჯთა კომისიის წევრი **ზურაბ ტიბუა** აირჩია. პოლონეთში ისიცაა მიწვეული საერთაშორისო ტექნიკური დელეგატის სტატუსით.

◎ ლეგიონერები

ჩვენი ლიგები

გაზაფხულის პირველი თვე ესპანეთში საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების წევრთა ბენიფისით დასრულდა.

საუბარია თანაბარი – 25,5 კოეფიციენტის მქონე **გიორგი შერმადინსა** და **თად მაკფადენზე,** რომლებიც ლიგა ენდესას მარტის საუკეთესო მოთამაშეებად (MVP) დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ გიო ოქტომბერსა და იანვარშიც უძლიერესად მიიჩნიეს.

ჩვენ უკვე გაუწყეთ, რომ „ტენერიფეს“ ლიდერმა „ვალენსიასთან“ ჩაატარა მორიგი, ამჯერად 21 ქულიანი (პლუს 7 მოხსნა)შთამბეჭდავი მატჩი, ხოლო რაც შეეხება „ჯვაროსანთა“ ნატურალიზებულ ამერიკელ უანახაზელს, მან ღირსეული წვლილი შეიტანა „ბურგოსის“ გამარჯვებაში „უნიკახასთან“ – 26 ქულა და 9 შედეგიანი გადაცემა.

ტრადიციისამებრ, პარტნიორებს არც ჩვენი ნაკრების კაპიტანი **თორნიკე შენგელია** ჩამორჩა, რომელიც ცსკა-ს მიერ ევროლიგის ჯგუფური რაუნდის 32-ე ტურში სანკტ პეტერბურგში „ზენიტთან“ 86:74 მოგებულ შეხვედრაში არმიელებს 14 ქულითა და 5 მოხსნით შეეწია.

დღეს 20 ქულით მეორე ადგილზე მყოფი მოსკოველები აუტსაიდერ „ხიმკის“ უმასპინძლებენ.

◎ 64

საუკეთესო ეტიუდები და პარტიები

„ვარიანტების სწრაფი გათვლები მის წარმატებას უზრუნველყოფდა“ –

მ. ბოტვინიკი

ხოსე რაულ კაპაბლანკა

(1888-1942)

პირველი გამარჯვება 4 წლისამ მამასთან უშეღავათო ბრძოლაში იზეიმა. ჭადრაკის ხელოვნებას დამოუკიდებლად ეზიარა. .ნორჩი ვუნდერკინდი აკვირდებოდა მამის თამაშს, აანალიზებდა მის შეცდომებს და თავისებური კომენტარებით „მოძღვრავდა“. 12 წლისა კუბის ჩემპიონი გახდა. 1921 წელს ჰავანაში ემანუილ ლასკერი დაამარცხა და მსოფლიოს III ჩემპიონის ტიტული მოიპოვა (4 მოგება, 0 წაგება, 10 ყაიმი). შეუდარებელი დიდოსტატი მთელ პარტიას, განსაკუთრებით ენდშპილს, კომბინაციურ სტილში საოცარი სიზუსტით წარმართავდა.

კაპაბლანკა – ბერნშტეინი
პეტერბურგი – 1914



მოგება

პილსბერი – გუნსბერგი
ჰასტინგსი – 1895



მოგება



...„მისი შემოქმედების საუკეთესო პარტიები აღაფრთოვანებენ არა მარტო თანამედროვეებს“ –

ზ. ტარაში

გარი პილსბერი

(1872-1906)

თამაში 16 წლისამ დაიწყო. იგი საინტერესოდ აშუქებდა საჭადრაკო ცხოვრებას ამერიკულ გაზეთებში. ჰასტინგსის ტურნირში (1895) პილსბერიმ გაუსწრო იმ დროის ყველა უძლიერეს მოჭადრაკეს და I ადგილი დაიკავა. საკმარისია აღინიშნოს გამარჯვება მიკრომატჩში მსოფლიოს ჩემპიონ ე. ლასკერთან (3,5:2,5). ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, ბევრი მოასწრო. იგი ინტენსიურად და ნაყოფიერად მუშაობდა ჭადრაკის თეორიის საკითხებზე, აქტიურად მონაწილეობდა ერთდროული თამაშების სეანსებშიც (1898-1904).



I. 21.Ch4 Kd7 22.Д:c8 Лc6 23.Kd8+ Лe8 24.Ce7+ Дe7f7 25.Дd6+ Дe7g6 26.Дh4+ Дe7h5 27.Д:e8 Д:d8 28.Д:g7+ Дe7h6 29.Дgf5+ Дe7h5 30.h3 Дc8 31.hg+ Дe7:g4 32.Ch:d8 Д:d8 33.g3 Дd2 34.Дe7g2 Дe2 35.a4 Дb6 36.Дe3+ Дe7h5 37.a5 თეორიულ მოსაზრებანი ჩოჩიაა გაჩენილთ.

II. 27.f5 g5 28.Дb4 a5 29.c6 Дe7d6 30.fe Д:c6 31.Д:c6 Дe7:c6 32.e4 de 33.d5+ Дe7d6 34.Дe7e3 b4 35.Дe7e4 a4 36.Дe7d4 h5 37.gh a3 38.Дe7c4 f5 39.h6 f4 40.h7, 1:0

მოამზადა თამაზ შენგელიამ

სახალხო ლოტბარი, სახალხო არტისტი, სიკეთის მგალობელი...



დიდი დანაკლისი

კიდევ ერთი დიდი ქართველი გამოაკლდა ჩვენს სამშობლოს. გარდაიცვალა გამოჩენილი მუსიკოსი და ფოლკლორისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე, ერის სიამაყე, დიდი მამულიშვილი

ანზორ ერქომაიშვილი.

წარმოუდგენლად დიდი დანაკლისია ბატონი ანზორის გარდაცვალება ქართული კულტურისთვის და მთლიანად საქართველოსთვის.

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ანზორის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და სრულიად საქართველოს.

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე
თამაზ შილაკაძე

საქართველოს და ქართულ ხელოვნებას ანზორ ერქომაიშვილი აღარ ჰყავს. აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქართულმა კულტურამ ქართველმა ერმა და სრულიად საქართველომ. აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ერის საამაყო შვილის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს და ლეგენდარული მუსიკოსის ღვაწლის დამფასებლებს. ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო
ალიანსი „არიერგარდის“ სახელით
გურამ საღარაძე

უპირველესად ანზორ ერქომაიშვილის ეროვნული შემოქმედების მეხოტბეთაგან ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებას, ცნობილ ქართველ მწერალს და მოაზროვნეს ჯანსულ ღვინჯილიას მოვუსმინოთ:

„ქართულ სიმღერას ანგელოზის ფრთები აქვს, ანგელოზის ფრთები მარადიულია. არ იმსხვრევა.

ანგელოზის ფრთებით გადასწევს ქართული სიმღერა პლანეტის სივრცეს, როგორც სცენის ფარდას და იქ შეახედებს უზარმაზარ აუდიტორიას.

ქართული სიმღერა დინებად იქცა. ეს დინება იჭრება ევროპისა თუ ამერიკის, ავსტრალიისა თუ აზიის კონტინენტებზე.

მას ელოდებიან.

რას აღწევს ქართული სიმღერა? მხოლოდ ნეტარების, ანუ ტკბობის წყაროა ათასი ჯურის ხალხისთვის თუ ქვეყნიერებას აღმოუჩენს საქართველოს, როგორც ახალ ერთეულს ან სულაც ახალ მატერიკს?..

როგორია ზემოქმედების ხარისხი?

როგორი შეიძლება ან როგორი უნდა იყოს ერი, რომელიც ამ სიმღერების ჭურჭლად ან სულაც ანატომიად გააჩინა ღმერთმა?

მსოფლიოს კათარზისის პარალელურად ქართველი ერის განწმენდაც იწყება!

ის კი, როგორც ქვეყანა, როგორც ჭურჭელი, შელანძღა ბოროტების აღზევებამ, თუ ცილისწამებით, თუ მიწისქვეშა ბიძგებით, გათითხნა, მოარყია, სახეზე ნაკვთები წაუშალა, ჩაუბნელა იერი და დამახინჯებული წარუდგინა კაცობრიობას.

მთავარი გახლდათ მიგნება სინათლის წყაროსი, რომელიც პიროვნებას გაანათებს, მერე — ერს მთლიანად!

მან, სწორედ მან — ქართულმა სიმღერამ, ამ უზარმაზარი სინათლის წყარომ უნდა გარეცხოს ლაფში ამოსვრილი ქართველი ერის სული, გააკრიალოს სარკესავით და დაუბრუნოს თავისი ჭეშმარიტი სახე“...

დიახ, მართალი ბრძანა ჯანსულ ღვინჯილიამ. მსოფლიო კათარზისის, სულიერი დაცემის ხანაში ქართული მრავალხმიანი პოლიფონიით, კოსმოსში გაფრენილი სიმღერით, ჩვენი განუმეორებელი საგალობლებით არა ოდენ ქართველი ერის, არამედ მსოფლიოს განწმენდაც იწყება!

ნამეტნავად ხმამაღლაა ნათქვამი? — გეთანხმებით, მაგრამ ქართული ხალხური სიმღერა ერთადერთი ფენომენია, რომლითაც ქართველებს თავის მოწონება შეგვიძლია.

აკი ასწავლიდა კიდეც ანზორ ერქომაიშვილი ქართულ სიმღერას იაპონელებს, ამერიკელებს, ევროპელებს...

ასწავლიდა ქართველ ახალგაზრდობას... ანზორის ხელდასხმით დაარსებული „მართვე“, რომელშიც ასობით ბავშვი იყო და არის გაერთიანებული, ჭეშმარიტი ფუძე-ბალავარია ერის მომავალი სულიერი აღორძინებისა, ანზორ ერქომაიშვილის მიერ დაარსებული ანსამბლი „რუსთავი“ უპირველესი სახალხო ანსამბლია მთელ საქართველოში, ნამდვილი სინათლის წყარო, ერის უკვდავების სიმბოლო.

ანზორ ერქომაიშვილი დიდებული ლოტბარი, კომპოზიტორი და შემსრულებელი იყო. ლეგენდარული არტემ ერქომაიშვილის შვილიშვილმა თითქმის ყველა ანდერძი-დანაბარები შეუსრულა საყვარელ ბაბუას, გარდა ერთისა: მასზე 7 წლით ადრე გარდაიცვალა, მოულოდნელად შეიწირა დღევანდელ შეშლილ მსოფლიოში აშკარად ხელოვნურად გავრცელებულმა კოვიდპანდემიამ!..

ანზორ ერქომაიშვილი დიდებული პუბლიცისტი და პოპულარული დოკუმენტური წიგნების ავტორი იყო.

მისი ნაწერების რედაქტორი, ცნობილი „წიგნის კაცი“ ვახტანგ როდონაია მუდამ გახარებული გახლდათ მისი შედევრების სტილით, ენის უბრალოებითა და სიმდიდრით.

მალე თბილისსა და ვაშინგტონშიც გამოვა მისი ოთხასგვერდიანი წიგნი — „მოგვითხრობს ანზორ ერქომაიშვილი“.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი ახალგაზრდობისთვის ეს იქნება მაღალი სულიერების სახელმძღვანელო.

საქართველოში ვერ იპოვით ადამიანს (თითო-ოროლა გათახსირებული ნაციონალის გარდა), რომელსაც ანზორ ერქომაიშვილის პროფესიონალიზმი, კაცური ხიბლი, უბრალოება და სიკეთის თესვის უნარი არ აღაფრთოვანებდეს!

ანზორ ერქომაიშვილი იყო ყოველმხრივ სრულქმნილი, საყოველთაო ქართველის ჭეშმარიტი განსახიერება.

ის საკუთარი მრავალტანჯული, მაგრამ გაუტეხელი ქართველი ერის საამაყო შვილია...

ასეთები მხოლოდ უფლის ნებით იბადებიან!..

...მართალია, ანზორ ერქომაიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა, მაგრამ... ის მთაწმინდაზე ამაღლდა და ამით კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ქართული ხალხური სიმღერა და მისი დიდი ჭირისუფალი უკვდავია!

სპარტაკ ძოგულია

„მართვეს“!

„პატარა ბიჭი „მართვედან“
ყელს იღერებს და თვალს
მიკრავს,
მღერის სიმღერას ქართველთა
„ქართველო, ხელი ხმალს იკარ“.
„მართვედან“ ბიჭი პატარა
მღერის მუქთად და უფასოდ;
აბუნტებულა, ამტყდარა,
მუმლი ედება მუხასო,
გახედე, ბიჭო, დიდგორით
კვლავაც ჩახჩახებს შენი მზე,
ჩქარა, მომდევნო სტრიქონი
იმღერე გადარჩენილზე.
იმღერე, ორბის მართვეო,
მღერით გადახვალ ჯებირსა,
ქართველი კვლავაც
ქართველობს,
დღე დადგა გამარჯვებისა.
და მთელი „მართვე“ არ ცხრება,
ცას ხევს სიმღერა „მართვეთა“;
უმალ მტერს დაუმარცხდება,
ვინა თქვა მარცხი ქართველთა?!
მშვიდობითა და ზავითა
უმრავლოს აკვნის გამთლელი,
რასაცა სხვა ფლობს ძალითა,
ჭკუითა ჰფლობდეს ქართველი“.

ჯანსულ ჩარკვიანი

კინოთეატრებმა და თეატრებმა მუშაობა განაახლეს

პირველი აპრილიდან საქართველოში კორონავირუსის გამო დაწესებული მთავრობის კიდევ რამდენიმე შეზღუდვა მოიხსნა.

კერძოდ, გაიხსნება კინოთეატრები და თეატრები. რეგულაციების დაცვით წარმოდგენებს უკვე მაყურებლებიც დაესწრებიან.

გაიხსნა ბავშვთა გასართობი ცენტრებიც.

მიუხედავად შეზღუდვების რამდენიმე ეტაპად შემსუბუქებისა, ძალაში რჩება კომენდანტის საათი – ქვეყნის მასშტაბით გადაადგილება 21:00 საათიდან 05:00 საათამდე აკრძალულია.

უკრაინელების სიურპრიზი სუხიშვილებს

უკრაინის ავიახაზებმა სუხიშვილების მოცეკვავეებს მოულოდნელი სიურპრიზი გაუკეთეს.

„ცეკვა ვნებისა და არაამქვეყნიური ემოციების ენაა. რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო ნათელი ვიდრე ფრენის დროს ცეკვა? მართალია, აბსოლუტურად არაფერი! ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მოულოდნელი სიურპრიზი გაგვეკეთებინა საქართველოდან ჩამოსული ჩვენი მეგობრებისთვის – მსოფლიოში ცნობილი ქართული ეროვნული ბალეტის სუხიშვილების მოცეკვავეებისთვის. ისინი უკრაინელი მაყურებლისთვის ცეკვავდნენ, ახლა ჩვენც ვიცეკვეთ მათთვის“, – წერს უკრაინის ავიახაზები გავრცელებულ ვიდეოსთან ერთად.

ქართველი მწერლის წარმატება

ახალგაზრდა ქართველი მწერლის, კინორეჟისორის და სცენარისტის ნანა ექვთიმიშვილის რომანი „მსხლების მინდორი“ ბუკერის პრემიის გრძელ სიაში, 13 მწერალს შორის დასახელდა.



ბუკერის პრემია ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა მსოფლიოსა და ინგლისურ ლიტერატურაში. იგი ენიჭება ავტორს, რომელიც თანამეგობრობის ქვეყნების ან ირლანდიის მოქალაქეა, ინგლისურ ენაზე დაწერილი რომანისთვის. ჯილდო 1969 წლიდან გაიცემა და საპრიზო ფონდი 50 000 ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

ქართველი მწერლის რომანი 125 კანდიდატიდან შეირჩა და იგი ინგლისურად ელიზაბეთ ჰეიუემ თარგმნა. „ მსხლების მინდორი“ 2016 წლის საბას პრემიის ლაურეატია. ამასთანავე რომანი თარგმნილია გერმანულ და ჰოლანდიურ ენებზე.

ბუკერის პრემიის გამარჯვებული 2021 წლის 2 ივნისს დასახელდება. იმედია, ნანა ექვთიმიშვილისთვის ეს წელი ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც 2012. სწორედ ამ წელს მისმა ფილმმა „გრძელი ნათელი დღეები“ მსოფლიოს 30-მდე წამყვანი კინოფესტივალის ჯილდო მიიღო.

შვეიცარიის ჯარში ქალები მამაკაცის ფორმას აღარ ჩაიცვამენ

21-ე საუკუნეში მდედრობითი სქესის წარმომადგენლების რაოდენობა, სამხედრო სამსახურში გაცილებით მრავლადაა წარმოდგენილი.

შვეიცარიის მთავრობამ ქალების პროცენტული მაჩვენებლის გასაზრდელად, გადაწყვიტა, რომ მათთვის შექმნან გაცილებით მოხდენილი, ქალური ეკიპირება. აქამდე ქალბატონებს მამაკაცების ტანისამოსის მორგება უწევდათ, რომელიც საკმაოდ არაკომფორტული გახლდათ.

თავდაპირველად იგეგმება საცვლებისა და მაისურების განახლება, შემდგომში კი უკვე თავად სამხედრო ფორმას სრული ეკიპირებით შეცვლიან.

ამ გზით ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო გეგმავს ქალების რაოდენობის გაზრდას არმიაში. რადგან სხვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც პროცენტული მაჩვენებელი 12-18%-ია, შვეიცარიაში ეს რიცხვი ჯერ მხოლოდ 1% შეადგენს.

ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა შვეიცარიის თავდაცვის მინისტრმა ვიოლა ამხერდმა, რომელიც ქვეყნის ისტორიაში პირველი ქალბატონია ამ თანამდებობაზე.

გრეტა ტუნბერგს ძეგლი დაუდგეს

შვედ ეკოაქტივისტს გრეტა ტუნბერგს უინჩესტერის უნივერსიტეტის ეზოში ძეგლი დაუდგეს.

მონუმენტის ღირებულება 24 ათას გირვანქა სტერლინგს აღემატება. უნივერსიტეტის ეზოში ტუნბერგის ძეგლის დადგმას სტუდენტების უკმაყოფილება მოჰყვა.

მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ ეკოაქტივისტის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, თუმცა პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე უკეთესი იქნებოდა, მონუმენტში გადახდილი თანხა სხვა საჭიროებებს მოხმარებოდა. პასუხად, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ განმარტა, რომ ძეგლის შესაძენად საჭირო თანხა თავად მოიძია და ამით არც სტუდენტები დაზარალებულან და არც სასწავლებლის თანამშრომლები.

კოსმოსში დაძველებული ღვინო

სპეციალისტებმა კოსმოსიდან დაბრუნებული ღვინის შესწავლის წინასწარი შედეგები გაასაჯაროვეს.

საუბარი 2000 წლის მოსავლის 12 ბოთლ ფრანგულ ღვინოზეა, რომელიც 2019 წელს საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე Space-ის რაკეტით მოხვდა. ბოთლები სადგურზე 438 დღისა და 19 საათის განმავლობაში ინახებოდა, 2021 წლის 14 იანვარს კი ღვინო დედამიწაზე Space\Dragon-ის კაფსულით დააბრუნეს, რის შემდეგაც მისი დეგუსტაცია გაიმართა. სპეციალისტებმა სასმელი იგივე წლის მოსავლის ღვინოს შეადარეს, რომელიც დედამიწაზე ინახებოდა.

ახლა მეცნიერები სწავლობენ, რა გავლენა მოახდინა კოსმოსში გატარებულმა დრომ ღვინოზე. მათ უკვე დაადგინეს, რომ ღვინომ ფერი შეიცვალა – უფრო ბაცი გახდა. მათი თქმით, შეიცვალა ღვინის გემოც.



„ორივე არაჩვეულებრივია, მაგრამ დედამიწაზე დარჩენილი ღვინის ბუკეტი ბოლომდე არ არის გახსნილი. კოსმოსში ნამყოფ ღვინოში მეტი ყვავილოვანი ნოტია“, - ამბობს ღვინის კრიტიკოსი ჯეინ ენსონი.

კვლევის მეორე ეტაპზე სასმელში მომხდარ ცვლილებებს ლაბორატორიაში მოლეკულურ დონეზე შეისწავლიან.

მოამზადეს
რუსუდან ქობულიამ და კახა ქორიძემ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

უბერებელი მსხაიობი კვლავ ფორმაშია!

ლეგენდარულმა იტალიელმა მსახიობმა მონიკა ბელუჩიმ „დოლჩე და გაბანას“ ყველაზე გაყიდვადი ხელჩანთების, Devotion-ის რეკლამირებაში მიიღო მონაწილეობა.

ფოტოსესია კომოს ტბაზე ჩატარდა. ფოტოგრაფმა ბრონისლავ სიმონჩიკმა მსახიობი D&G-ს ულამაზეს საღამოს კაბებში გადაიღო, რომელსაც Devotion-ის სხვადასხვა ფერისა და ფორმის ხელჩანთები შეუსაბამეს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 5 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.4464; ევრო - 4.0426;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.7467;
100 რუბლი - 4.5632; თურქული ლირა - 0.4141;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0254;
1000 სომხური დრამი - 6.4928.

ამინდი 2 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	+2	დღე	+10
თბილისი:	ღამე	+6,	დღე	+17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge